



ელკანა BIO ELKANA







2007

# სათემო მობილიზაცია

## მეთოდური მითითებები

# სათემო მობილიზება

## ზოგადი მითითებები

ავტორი:

პავლე დოლიძე

დიზაინი და დაკაბადონება: მანანა გიგაურის
ლიტერატურული კორექტურა: ნოდარ ებრალიძის

თბილისის
2007

# შინაარსი

შესავალი ..... 3

I განყოფილება - ახალი მიდგომები თემთან მუშაობაში ..... 4
- „ტრადიციული" მიდგომები თემთან მუშაობისას ..... 4
- განვითარების პროცესში მონაწილეობა ..... 4
- ხანმოკლე ვიზიტები სოფლად და ანკეტური გამოკითხვები 5
- ახალი მიდგომების ჩამოყალიბება ..... 7
- თანამონაწილობითი მეთოდების (RRA+PRA) ძირითადი საფუძვლები ..... 8
- თანამონაწილეობითი მიდგომა დღეს .....

II განყოფილება - ჩვენი მიდგომა და ქცევა ..... 9
- რა არის ფასილიტაცია? ..... 9
- თემთან მუშაობის მოსამზადებელი ნაბიჯები ..... 10
- ჯგუფთან მუშაობა ..... 10
- მოსმენისა და დაკვირვების უნარი ..... 11
- დახმარება დასკვნების გამოტანასა და გადაწყვეტილების მიღებაში ..... 12
- უკუკავშირი მონაწილეების მხრიდან ..... 12

III განყოფილება - გამოყენებული მეთოდები .....
- თემთან მუშაობის სქემა ..... 13

სამუშაო ობიექტის შერჩევა, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საშუალებები ..... 14
ა) წინასწარი მონაცემების მოძიება და განხილვა ..... 15
ბ) ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ ..... 15
გ) დიაგრამული მოდელები ..... 21
თემის კრება ..... 28
კომიტეტთან მუშაობა (თემის საინიციატივო ჯგუფი) ..... 29
- რა არის თემი? ..... 29
- განვითარება თუ დახმარება? (იაპონური სიბრძნე) ..... 30
- მიზნების ფორმულირება ..... 31
- პროექტის წარმატება ..... 32
-- პროექტის შეფასება ..... 33
- პროექტის მომზადება და ფინანსური უზრუნველყოფა ..... 34
მონიტორინგი და შეფასება ..... 36
- რისთვის კეთდება მონიტორინგი და შეფასება ..... 37
- ძირითადი პრინციპები ..... 37
- მაჩვენებლები (კრიტერიუმები) ..... 39

შეჯამება ..... 40
გამოყენებული ლიტერატურა ..... 40

# შესავალი

სათემო მობილიზების პროგრამა ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრას ემსახურება. სიღარიბის აღმოფხვრა კი „გარედან“ ვერ მოხდება, აუცილებელია თვით მოსახლეობის აქტიური, გაცნობიერებული მონაწილეობა - თითოეულ ადამიანს საშუალება უნდა მიეცეს წვლილი შეიტანოს საკუთარი საარსებო პირობების გაუმჯობესებაში. მოსახლეობის გააქტიურებას კი მიზანმიმართული და მეთოდური მუშაობა სჭირდება.

სწორედ მოსახლეობასთან, თემთან მუშაობის ძირითადი მიდგომებისა და მეთოდების გაცნობას ემსახურება ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ გამოცემული ბროშურა - „სათემო მობილიზება. ზოგადი მითითებები“.

თემთან მუშაობა მრავალმხრივ ცოდნასა და დიდ გამოცდილებას მოითხოვს. „ელკანა“ უკვე 10 წელზე მეტია თემის მობილიზების საკითხებზე მუშაობს და აღნიშნული პუბლიკაცია ეფუძნება როგორც თეორიულ ცოდნას, ისე ჩვენი ორგანიზაციის მრავალწლიან პრაქტიკულ გამოცდილებას. მიდგომები და კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელთაც ამ ბროშურაში გაეცნობით, წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ადგილობრივი მოსახლეობის რეალური საჭიროებების გამოვლენისა და, აგრეთვე, ადგილობრივი ინიციატივების განვითარების ხელშეწყობისათვის.

აღნიშნული პუბლიკაცია საინტერესო იქნება როგორც სათემო მობილიზების საკითხებით დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის, ისე კონკრეტული პირებისათვისაც, რომლებსაც სურთ თემის ჩამოყალიბება, და, უკვე არსებული თემისთვისაც, რომელიც შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისაკენ ისწრაფვის.

# I განყოფილება

## ახალი მიდგომები თემთან მუშაობაში

### „ტრადიციული“ მიდგომები თემთან მუშაობისას

XX საუკუნის 80-იან წლებამდე, სოფლის მეურნეობის მამოძრავებელ ძალად ითვლებოდა პროექტები, რომელთა პრიორიტეტებსა და სტრუქტურას „გარე“ ექსპერტი სოფლად ხანმოკლე ვიზიტის საფუძველზე განსაზღვრავდა. ამასთან საკითხის ხედვა შემდეგნაირი იყო: ჩვენ, ექსპერტები ვფლობთ ცოდნას, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა ამ ცოდნას მოკლებულია.

მათ არ იციან ➤ ჩვენ ვიცით

ისინი - პრობლემა ➤ ჩვენ - გადაწყვეტილება

### განვითარების პროცესში მონაწილეობა

ასეთი „ტრადიციული“ სტრუქტურის ფარგლებში, სოფლის განვითარების საკითხებში, პრაქტიკულად ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა რეალურად ნომინალური იყო - გარედან ხდებოდა გადაწყვეტილების მიღებაც და რესურსების განაწილებაც. ადგილობრივ მოსახლეობას აზრს თითქმის არასოდეს ეკითხებოდნენ, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა უფრო იშვიათად შეეძლოთ.

ადგილობრივი მოსახლეობიდან ინფორმაციის აღების მეთოდები, რომელთა საფუძველზე შემდგომში მუშავდებოდა განვითარების პროგრამები, ხშირად რომ ვთქვათ, არაეფექტური იყო, ვინაიდან ეფუძნებოდა ე.წ. „გასაშუალებულ“ სტატისტიკას.

მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა

↓

ადგილობრივი მოსახლეობა იძლევა ინფორმაციას

გადაწყვეტილების მიღება ხდება გარედან - ადგილობრივი მოსახლეობის გარეშე

### ხანმოკლე ვიზიტები სოფლად და ანკეტური გამოკითხვები

მოსახლეობისაგან ინფორმაციის მიღება და შემდგომ ამ ინფორმაციის საფუძველზე გადაწყეტილების მიღება ჩვეულებრივ ხდებოდა სოფლად „ექსპერტის“ ხანმოკლე ვიზიტისა და ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე.

**ა ს ე თ ი მ ი დ გ ო მ ი ს ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ე ბ ი ა :**

**ვ ი ზ ი ტ ი ს :**

- ვიზიტის დრო - უმეტესად ვიზიტი ხდება შუადღისას, რათა „ექსპერტმა“ დაღამებამდე მოასწროს ქალაქში დაბრუნება;
- სეზონი/ამინდი - „ექსპერტი“ ირჩევს თბილ სეზონს/კარგ ამინდს სამოგზაუროდ - ასეთ ამინდში სოფლის მოსახლეობა მინდორშია;
- ვიზიტის ადგილი - უმეტესად გზისპირა, მანქანით ადვილად მისადგომი სოფლები ან სოფლის უბნები;
- ვიზიტის ობიექტები - უმეტესად ადგილობრივი ხელმძღვანელობა და რამდენიმე მამაკაცი სოფლიდან.

**ა ნ კ ე ტ ი ს :**

- ინფორმაციას აგროვებენ და აანალიზებენ უმეტესად გაუთვითცნობიერებელი ადამიანები;
- კითხვების დასმის სტილი - ძირითადად დახურული კითხვები, რომლებიც მოითხოვს შეზღუდულ პასუხებს;
- ანკეტური გამოკითხვის შემდეგ მიღებული მონაცემები მუშავდება სტატისტიკურად და მიიღება საშუალო მაჩვენებელი - იკარგება კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალური მოსაზრებები;
- მოითხოვს დიდ დროსა და ფინანსურ დანახარჯებს - ხშირად შედეგი დანახარჯულ დროსა და თანხებს ვერ ამართლებს

ასეთი მიდგომით განხორციელებული პროექტები, სიღარიბესთან ბრძოლის თვალსაზრისით, პრაქტიკულად უშედეგო იყო.

## ახალი მიდგომების ჩამოყალიბება

მიღებული შედეგების გაანალიზებით, 80-იან წლებში, უფრო და უფრო გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ფლობს ღრმა და ამომწურავ ინფორმაციასა და ცოდნას საკუთარი სოფლისა და რეგიონის შესახებ, სადაც ისინი ცხოვრობენ. შორიდან, მათი აზრის გაუთვალისწინებლად გაკეთებული ანალიზი და დასკვნები უმეტესად არასწორია. აქედან გამომდინარე, ასეთი ანალიზის საფუძველზე, მხოლოდ ზოგად სტერეოტიპებსა და ასოციაციებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი არ გამოხატავს მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს

### შეიცვალა მიდგომა ცოდნის მიმართ:

ცხადი გახდა, საკუთარი პრობლემების გადაწყვეტაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის აუცილებლობაც.

### შესაბამისად შეიცვალა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების პროცესებში მონაწილეობის სტრუქტურაც:




როგორც კი შეიცვალა დამოკიდებულება მეთოდის მიმართ, შემუშავდა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემის გადაწყვეტაში სრული და აქტიური მონაწილეობის მექანიზმები. თანდათანობით ინფორმაციის უბრალო შეგროვება (ეფექტური გარე კონსულტაციისათვის) შეიცვალა თანამონაწილეობითი ანალიზითა და დაგეგმარებით (გაცნობიერებული და სრული მონაწილეობისათვის), რაც საფუძვლად დაედო ახალ მეთოდოლოგიას:

# თანამონაწილეობითი სწავლება და ქმედება (PLA)



# პრობლემის თანამონაწილეობითი გადაჭრის საფეხურები

მიზნობრივი ჯგუფის თანამონაწილეობა პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში პრობლემის წარმატებით გადაჭრის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს




***ამ მეთოდოლოგიის გამოყენების უპირატესობას – სწრაფად მუშაობასა და მიზნობრივი ჯგუფისათვის ეფექტური, სასარგებლო შედეგების მიღებას – შემდეგი ძირითადი მომენტები განსაზღვრავს:***

- ამ მეთოდით მუშაობა, შემდგომი ანალიზისათვის ინფორმაციის შეგროვების გარდა, თანამონაწილეობით სწავლასაც მოიცავს: კონტაქტი მიზნობრივ ჯგუფთან, ორივე მხარისათვის (ინფორმაციის გამცემისა და შემგროვებლისათვის) ახალი ცოდნის შეძენას გულისხმობს;
- ეს არ არის სტანდარტიზებული მეთოდოლოგია - საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია მისი მოდიფიცირება;
- არ არის საჭირო დიდი სიზუსტე;
- პრობლემის გამოვლენის გარდა, დიდი ყურადღება ეთმობა ადგილობრივ შესაძლებლობებსაც;
- ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროებიდან ხდება, შემდეგ ეს ინფორმაცია შეჯერდება;
- იზოგება მუშაობისას დრო, ადამიანური რესურსები და თანხები;
- მონაცემების გარდა, დიდი ყურადღება ეთმობა ინფორმაციის შეგროვების პროცესს, გარემოს.

**RRA**

***თემის საჭიროებების სწრაფი შეფასება (RRA)*** შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეთოდების ჯგუფი, რომლის გამოყენება მოსახლეობისაგან მცირე დროში ზუსტი, სანდო ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა.

თუ პრობლემის გამოვლენა და ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების დაგეგმვა ასეთ სანდო და ზუსტ ინფორმაციას დაეყრდნობა, მიღებული შედეგი ადგილობრივი მოსახლეობის რეალური მოთხოვნილებათა და საჭიროებათა გამომხატველი იქნება.

**PRA**

***თემის საჭიროებების მოგვარების გზების ერთობლივი შესწავლა (PRA)***, როგორც პროცესი, ემყარება თემის საჭიროებების სწრაფად შეფასების (RRA) დროს მოპოვებულ ინფორმაციას და, სოფლის ცხოვრების რეალური სურათის დანახვასთან ერთად, გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ინფორმაციის ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## (PRA) შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს:

***"მუდმივად განახლებადი მეთოდები და მიდგომები, რომლებიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მზად არის თემი, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი პრობლემის მოგვარებაში.***

***ეს არის თანამონაწილეობითი მიდგომა, რომელიც თემს საშუალებას აძლევს, ანალიზი გაუკეთოს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და არსებულ რეალურ გარემოს, შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, განსაზღვროს პრიორიტეტები, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და განახორციელოს იგი."***

## თანამონაწილობითი მეთოდების (RRA+PRA) ძირითადი საფუძვლები

ზემოთ ნახსენები მეთოდები თემის (სოფელი, ქალაქი) ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინების საშუალებას იძლევა. როგორც პროცესი, იგი ემყარება მუშაობის ჯგუფურ მეთოდსა და ვიზუალური მასალის გამოყენებას, რაც არა მხოლოდ ინფორმაციის ანალიზს უწყობს ხელს და უზრუნველყოფს თემის აქტიურ მონაწილეობას, არამედ ეხმარება მოსახლეობას საკუთარი შესაძლებლობების დანახვასა და საკუთარი ძალების შეფასებაში.

გულისხმობს ძირითადად ფასილიტატორის ქცევასა და დამოკიდებულებას ანუ ჩვენ პროფესიონალურ დამოკიდებულებასა და ინდივიდუალურ მიდგომას.

**ქცევა და დამოკიდებულება**

თანამონაწილობითი მიდგომა მობილური პროცესია, ანუ იგი არ გულისხმობს მკაცრ წესებს ან მითითებებს. იგი მეთოდების ფართო სპექტრს მოიცავს, რაც თემთან ერთიერთობისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ხდება მეთოდებისა და მიდგომების ადაპტირება

სპეციალური მეთოდები, რომლებიც გამოიყენება თემსა და ფასილიტატორებს შორის, აგრეთვე - თვით თემის წევრებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაცვლისა და ასევე ანალიზისათვის.

**მ ე თ ო დ ე ბ ი**

მნიშვნელოვანია ინფორმაციის არა მხოლოდ ცალმხრივი (მოსახლეობიდან ფასილიტატორისაკენ) დინება, არამედ ცოდნის, იდეებისა და გამოცდილების გაცვლა (ორმხრივი პროცესი)

**გაცვლა (იდეების, გამოცდილების)**

**თანამონაწილეობითი მიდგომა სამ ძირითად საფუძველზე ემყარება**

## თანამონაწილეობითი მიდგომა დღეს

მართალია, ეს მეთოდები თავიდან სოფლის თემთან მუშაობისათვის შეიქმნა და პირველი პროექტები სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდებოდა, მაგრამ დღეს ეს მეთოდოლოგია ფართოდ გამოიყენება ადამიანის საქმიანობის სრულიად განსხვავებულ სფეროებში. ამასთან გაფართოვდა გამოყენების გეოგრაფიაც - დღეს მას წარმატებით მიმართავენ 100-ზე მეტ ქვეყანაში..

გავრცელება

| დრო | ქვეყანა | მონაწილეები | საკითხები |
|---|---|---|---|
| 80-იან წლებამდე | შუა აზია, აღმოსავლეთი აფრიკა | სოფლის მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები | შესწავლა და ანალიზი |
| 90-იანი წლებიდან | მსოფლიოს ასამდე ქვეყანა (აზია, აფრიკა, ჩრდ. და სამხრ. ამერიკა, აღმოსავლეთი და დასავლეთი ევროპა, ავსტრალია) | სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა; არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები, პოლიტიკოსები და სხვ. | შესწავლა, დაგეგმვა, მონიტორინგი, შედეგების შეფასება |

## სფეროები, სადაც გამოიყენება ეს მეთოდები

- ***ბუნებრივი რესურსების მართვა***
- ***სოფლის მეურნეობა, მესხოველეობა, მეტყევეობა, ირიგაცია, მიწისა და წყლის რესურსების დაცვა***
- ***სიღარიბის დაძლევის პროგრამები***
- ***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა***
- ***ურბანიზაცია***
- ***ზრდასრულთა განათლება***
- ***გაუთვალისწინებელი სიტუაციები, ცტოლვილები***
- ***გენდერული საკითხები***
- ***ორგანიზაციული შეფასება***
- ***და სხვ.***

# II განყოფილება

## ჩვენი მიდგომა და ქცევა

წინა განყოფილებაში გავეცანით თემთან მუშაობის მეთოდოლოგიის ძირითად მიდგომებსა და პრინციპებს. ამასთან ვისაუბრეთ თანამონაწილეობითი მიდგომის სამ ძირითად საფუძველზე.

II განყოფილებაში შევეხებით ამ საფუძვლებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს - როგორი ფორმით ავაწყოთ ურთიერთობა თემთან? როგორია ფასილიტატორის როლი და ქცევა? თემთან მუშაობისას ამ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და განსაზღვრავს მუშაობის შედეგს.

### რა არის ფასილიტაცია?

ბოლო პერიოდში სიტყვა ფასილიტაცია (ლათინური სიტყვიდან - „ფაცილიტას“ - შემსუბუქება, გაადვილება) მოდური გახდა და გამოიყენება სრულიად განსხვავებულ სფეროებში.

ფართო გაგებით ფასილიტაცია არის ადამიანთა ჯგუფის ან ცალკეული ინდივიდისათვის დახმარება („გაადვილება“) მათი საქმიანობის ორგანიზებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

გარკვეულწილად ფასილიტაცია უკავშირდება სწავლების პროცესს. ტრადიციული ხედვით, სწავლების დროს მასწავლებელი გადასცემს მოსწავლეს ყველა საჭირო ინფორმაციას.

ფასილიტაცია კი სწავლების პროცესია, როცა „მასწავლებელი“ იკავებს „დამხმარის“ პოზიციას და „მოსწავლეს“ ეხმარება მისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის დამოუკიდებლად პოვნაში და/ან ახალი მიდგომების დამოუკიდებლად შემუშავებაში.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ფასილიტაცია ეფუძნება პიროვნულ ურთიერთობათა თავისებურებებს, რომლებიც მყარდება ფასილიტატორსა და „მოსწავლეს“ შორის.

ფასილიტაციის პროცესი მნიშვნელოვნად ამაღლებს ჯგუფის მუშაობის ეფექტურობას, მონაწილეების დაინტერესებასა და მათი აქტიურობის ხარისხს და, რაც მთავარია, მათი პოტენციალის გამოვლენას.

პროფესიონალი ფასილიტატორის მთავარი მიზანია - დაეხმაროს ჯგუფს მის წინაშე დასმული პრობლემის გააზრებასა და გადაწყვეტის გზების მოძიებაში.

ფასილიტატორი არ ერევა საკითხის არსში და არ სთავაზობს გადაწყვეტილებას - მისი როლი მხოლოდ ისაა, რომ სპეციალური მეთოდების გამოყენებით გაადვილოს საკითხის განხილვა. ჯგუფთან ერთად ფასილიტატორი ადგენს სამუშაო წესებსა და პროცედურებს, რომელთა შესრულება თავის მხრივ უზრუნველყოფს „კომფორტულ პირობებში“ მუშაობას: მსჯელობას მთავარი მიზნის ირგვლივ, ერთმანეთის მოსმენის კულტურის დაცვას, ობიექტურობისა და ტაქტის შენარჩუნებასა და სხვ.

მთლიანობაში ფასილიტატორი ეხმარება ჯგუფს, რათა მისი წევრები დასახული მიზნის მისაღწევად ერთად გაერთიანდნენ და ამავდროულად არ დაიკარგოს თითოეული ინდივიდის მოსაზრებები და აქტიურობის ხარისხი.

ფასილიტატორებს (თემთან მომუშავე ჯგუფს) მიზნობრივი ჯგუფი (თემი) ყოველთვის სიხარულითა და გაგებით არ ხვდება - ხშირია უნდობლობა და გაუცხოება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფასილიტატორის ქცევის ფორმასა და თემთან ურთიერთობის ენარს.

ფასილიტატორს უნდა ახასიათებდეს:

- კომუნიკაბელობა;
- მოსმენისა და ახსნის უნარი;
- ინფორმაციის შეჯამებისა და ანალიზის უნარი;
- კრიტიკულ სიტუაციაში სწრაფი მოქნილი აზროვნების უნარი.

## თემთან მუშაობის მოსამზადებელი ნაბიჯები

- წინასწარი ინფორმაცია

მიზნობრივ ჯგუფთან პირველ შეხვედრამდე აუცილებელია წინასწარი ინფორმაციის შეგროვება-განხილვა და კუთხურობის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ. ფაქტორების გათვალისწინებით ქცევის ფორმის შემუშავება.

- შეხვედრის ზუსტი დაგეგმვა

სწორი დაგეგმვა საქმის წარმატების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. შეხვედრის დაგეგმვისას ფასილიტატორმა უნდა გაითვალისწინოს:

– შეხვედრის ტიპი (სემინარი, საველე შეხვედრა-საუბარი, კრება და ა.შ);
– ჩატარების თარიღი, ხანგძლივობა, ადგილი, სასაუბრო ენა;
– მიზნები, მოსალოდნელი კონკრეტული შედეგები;
– დღის წესრიგი, საკვანძო საკითხები, სასურველი პროცედურები;
– ინფრასტრუქტურა, ლოგისტიკა: საშუალებები, პირობები (დაფები, საკვები...);
– ოქმები, პროცესებისა და შედეგების დოკუმენტაცია, ანგარიშები, უკუკავშირი ოფისში დაბრუნების შემდეგ;
– ბიუჯეტი: ხარჯები დარბაზისათვის, ფასილიტატორებისა, მასალებისა, საკვებისა და ტრანსპორტისათვის. .

## ჯგუფთან მუშაობა

კონკრეტულ ადამიანთან ან ადამიანთა ჯგუფთან მუშაობის დაწყებამდე ფასილიტატორი უნდა შეუთანხმდეს მათ შემდეგ საკითხებზე:

– მიზანი;
– პროცედურები (მეთოდები, საშუალებები);
– როლების (დანიშნულების) განაწილება;
– დრო, ხანგძლივობა და სამუშაო ადგილი.

## შეხვედრის მსვლელობისას ფასილიტატორმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ საკითხებს:

### მხოლოდ ღია კითხვები დასმა:

ღია კითხვები - ეს ის კითხვებია, რომლებიც გამორიცხავს პასუხს - „დიახ“, ან - „არა“. როგორც წესი, ღია კითხვებზე პასუხი ორი-სამი სიტყვით შეუძლებელია. ღია კითხვა გულისხმობს მსჯელობას, აზრის გამოთქმას, ანუ მონაწილის „გახსნას“. ღია კითხვები, როგორც წესი, იწყება სიტყვებით: როგორ, რატომ, რატომ, ვინ და რა.

ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით თემთან მუშაობის მეთოდებზე საუბრისას.

### პოზიტიური რეაგირება ჯგუფიდან მომდინარე ნებისმიერ გამონათქვამსა თუ ქმედებაზე

ჯგუფის მხრიდან დასმული ნებისმიერ კითხვას ან გამონათქვამს ფასილიტატორი პატივისცემით უნდა შეხვდეს. ამასთან არა მხოლოდ ტაქტით, არამედ იმის გულწრფელი გაგებით, რომ ჯგუფის ნებისმიერი რეაქცია სამუშაო პროცესის ნაწილია და მოითხოვს განხილვას, ანალიზს, კორექციას. ჯგუფის ნებისმიერი რეპლიკა თუ კითხვა ფასილიტატორმა ყურადღებით უნდა მოისმინოს და, საჭიროების შემთხვევაში, პოზიტიურად ჩამოაყალიბოს.

### ჯგუფის წევრების მხრიდან ინდივიდუალური გამოსვლების წახალისება

ფასილიტატორი მხარს უჭერს ნებისმიერ მონაწილეს, რომელსაც სურს აზრის გამოთქმა. ზოგჯერ ფასილიტატორი არა მხოლოდ გამოსვლის საშუალებას აძლევს ნებისმიერ ადამიანს, არამედ სიტყვიერადაც უჭერს მხარს („შესანიშნავია! თქვენი დახმარებით ამ საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას...“ ან - „თქვენი პოზიცია დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ...“). ამასთან ასეთი გამოსვლები სტიმულს აძლევს სხვა უფრო მორიდებულ მონაწილეებს, უფრო თამამად გამოთქვან საკუთარი პოზიცია და გააქტიურდნენ.

### კონფლიქტურ სიტუაციაში შუამავლის როლით დაკმაყოფილება

თუ ჯგუფში წარმოიქმნება კონფლიქტური სიტუაცია, ფასილიტატორის ამოცანაა, დაიკავოს შუამავლის პოზიცია.

რჩევები ფასილიტატორს:

- ეცადეთ, დაამყაროთ კარგი კონტაქტი ოპოზიციურ მხარეებს შორის (დაუსვით კითხვები, რას ელიან და რისი ეშინიათ?);
- დააფიქსირეთ კონფლიქტური საკითხები (კონფლიქტური მხარეების სხვადასხვა თვალსაზრისის გათვალისწინებით) და შეთანხმების პროცედურა (შესთავაზეთ სიტუაციიდან გამოსვლის მისაღები ნაბიჯები, ხედვა, შეთანხმება და ა. შ.);
- კონფლიქტურ მხარეებს საშუალება მიეცით, მორიგეობით განმარტონ თავისი შეხედულებები - არ დაუშვათ, რომ მათ ერთმანეთს ხელი შეუშალონ (ერთმანეთს მსჯელობა არ შეაწყვეტინონ);
- იმსჯელეთ, აწარმოეთ მოლაპარაკება: შეეცადეთ, მხარეებმა შეიცვალონ პოზიცია.

### ნაკლები საუბარი ფასილიტატორის მხრიდან

ფასილიტატორმა ნაკლები უნდა ილაპარაკოს, უფრო ნაკლებად გამოთქვას თავისი აზრი ან უპასუხოს კითხვებს (თუ ეს კითხვები არ ეხება საორგანიზაციო საკითხებს). დასმული კითხვების უმეტესობა ფასილიტატორმა უნდა ჯგუფზე მიმართოს და ჯგუფის წევრებს საშუალება მისცეს, თვითონვე გასცენ პასუხი დასმულ კითხვას.

## მოსმენისა და დაკვირვების უნარი

კარგად გაარკვიეთ მოსმენის მიზანი - რას ველოდები მოსმენისაგან? მოიკრიბეთ ფიზიკური და გონებრივი ძალები, მოსმენა აქტიურობას მოითხოვს; ეცადეთ, ყურადღება არ გაგეფანტოთ;

იფიქრეთ იმ კაცზე, რომელსაც უსმენთ - ჩემი გარეგნობა და მანერები გამაღიზიანებელი არ უნდა იყოს მისთვის; რა არის ნათქვამის მიზანი? შეიძლება, მოსაუბრემ პირდაპირ გითხრათ სათქმელი (მაგ., "სოფელს სჭირდება გზის შეკეთება") ან შემოვლითი, ირიბი გზა გამოიყენოს (მაგ., "მეზობელ სოფელს გზა შეუკეთეს, ნამდვილად საჭირო იყო ეს?")

მიღებული ინფორმაციიდან გამოჰყავით მთავარი საკითხები - ის საკითხებია, რომლებსაც მოსაუბრე რამდენიმეჯერ მიუბრუნდება, თუმცა, შეიძლება, ეს თავიდან ვერც შენიშნოთ;

დააკვირდით მოსაუბრის საქციელს - საუბრისას ბევრის მთქმელია მოსაუბრის მოძრაობები, თვალების გამომეტყველება, პაუზები - ისინი გეტყვიან, რატომ თქვა ასე; რას გრძნობდა; რას ფიქრობს იგი ვიღაცაზე ან თქვენზე; რა არ თქმულა;

აკონტროლეთ საკუთარი ემოციები - ნუ განსჯით მოსაუბრის იდეებს, გარეგნობას, აქცენტს, მანერებს, მეტყველებას და ა. შ.

შეამოწმეთ, თუ როგორ გაიგეთ ნათქვამი - დაუსვით სპეციფიკური კითხვები; მოსმენის პროცესში შეაჯამეთ მოსმენილის მთავარი პუნქტები; დაანახეთ მოსაუბრეს, რომ გაუგეთ; ნუ განსჯით, სანამ არ დარწმუნდებით, რომ სწორად გაიგეთ ინფორმაცია.

### სავარჯიშო - მოსმენის უნარი

*სცენა 1*

*ორი ადამიანი ხვდება ერთმანეთს. ერთი იწყებს ლაპარაკს, ძალზე აღელვებს ის, რაზეც საუბრობს: ისე რომ არავითარ ყურადღებას აქცევს იმას, ვისაც ელაპარაკება. მეორე პიროვნება ცდილობს ჩაურთოს სიტყვა, ეკითხება, ეპასუხებს, რჩევას აძლევს, მაგრამ პირველი ისეა ჩართული ლაპარაკში, რომ მეორე იძულებულია, გაჩუმდეს და თავი დაანებოს ჩარევის მცდელობას (წყვილი სასაუბრო თემაზე წინასწარ თანხმდება).*

*სცენა 2*

*ორი ადამიანი ერთმანეთს ხვდება. თითოეული თავისას ამბობს. თემა სხვადასხვაა. ერთმანეთს არ უსმენენ, ორივე ერთდროულად ლაპარაკობს.*

*სცენა 3*

*ორი ადამიანი ხვდება ერთმანეთს, ესალმება და ნამდვილი დიალოგი იწყება. ერთმანეთს ეკითხებიან, რაც აინტერესებთ, ეპასუხებენ ერთმანეთის შეკითხვებს, ახალ ამბებს და აზრებს უზიარებენ. სასაუბრო თემა წინასწარაა შეთანხმებული.*

## დახმარება დასკვნების გამოტანასა და გადაწყვეტილების მიღებაში

ფასილიტატორი, გარეგნული პასიურობის მიუხედავად, მთლიანად უნდა იყოს ჩართული ჯგუფის მუშაობაში და გაერკვეს განსახილველი საკითხების შინაარსში. ეს საშუალებას მისცემს, საჭირო დროს დაეხმაროს ჯგუფს, გაახსენოს ყველა გამოთქმული მოსაზრება, ხელი შეუწყოს მას განზოგადებასა და გადაწყვეტილების ვარიანტების დადგენაში.

გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ ჯგუფმა! ნებისმიერ მცდელობას ფასილიტატორის მხრიდან, თავს მოახვიოს აუდიტორიას საკუთარი აზრი, ჯგუფი უარყოფითად მოეკიდება და ფასილიტატორის მიმართ ნდობა დაიკარგება.

იმისათვის, რომ გაუადვილოს ჯგუფს გადაწყვეტილების მიღება, ფასილიტატორი იყენებს ჩანაწერებს, სქემებს, პლაკატებს და სხვ. განხილვის პროცესის ვიზუალიზაცია - ცალკე მსჯელობის საკითხია და ამას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

<u>რჩევები ფასილიტატორს:</u>

ყველაზე მეტად ადამიანებს უნდათ, რომ მათი ესმოდეთ - მოუსმინეთ მათ და გადმოეცით, ახსენით მათი აზრი. წარმართეთ დისკუსია და შეაჯამეთ თვითეული საფეხური. შეეცადეთ, რომ თქვენი ფასილიტაცია, რაც შეიძლება ნათელი და გამჭვირვალე იყოს. შეჯამებისას ითამაშეთ შუამავლის როლი, გამოიყენეთ შემდეგი ტერმინები:

- "მე მინდა შევაჯამო: ჩვენ მივიღეთ, რომ . . . ეთანხმებით თუ არა? ამართლებს თუ არა ეს თქვენს მოლოდინს?“
- " ჩვენი მიზანია . . . "
- " ამ მიზნისთვის თქვენ დასახეთ შემდეგი ნაბიჯები . . . ეთანხმებით?“
- ერიდეთ სიტყვიერ შეურაცხყოფას! ის, როგორც წესი, ორი გზით ხდება: განზოგადებით და გაუფასურებით. ერიდეთ კრიტიკულ შენიშვნებს, მახასიათებლების ნეგატიურ შეფასებას, პიროვნების დამცირებას რეპლიკებით - "სისულელეა", "უაზრობაა".

## უკუკავშირი მონაწილეების მხრიდან

ჯგუფის წევრებისათვის მუშაობა გადაწყვეტილების მიღებით მთავრდება, ხოლო ფასილიტატორისთვის ბოლო, დამაგვირგვინებელი ეტაპია განხილვის, მუშაობის პროცესის შეჯამება. ამ ეტაპზე ჯგუფის წევრები გამოთქვამენ საკუთარ ემოციებს, ხოლო ფასილიტატორის საშუალება ეძლევა, შეაფასოს თავისი მუშაობის სტილი და მოცემულ ჯგუფთან მუშაობის ეფექტურობა.

# III განყოფილება

## გამოყენებული მეთოდები

ამ განყოფილებაში განვიხილავთ თემთან მუშაობის მეთოდებს, ანუ PRA-ს კიდევ ერთ საფუძველს.

მეთოდების უმრავლესობა შეიცავს თვალსაჩინოების ზოგიერთ ფორმას: აქტიური საკითხებზე არა მარტო საუბრობენ ან მიუთითებენ, არამედ ჩნდება საჭიროება ყველას დასანახავად მათი „წარმოჩენისა“. ეს ხორციელდება დიდი ზომის ქაღალდზე (ფორმატზე) სიტყვების, სიმბოლოები, ნახაზების, ნახატებით და სხვა საშუალებებით.

გამოყენებული მეთოდები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:

- სამუშაო ობიექტის შერჩევა, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საშუალებები
- თემის კრება
- საინიციატივო ჯგუფთან მუშაობა
- მონიტორინგი და შეფასება

სანამ უშუალოდ კონკრეტული მეთოდების განხილვას დავიწყებთ, სოფლად მუშაობის მაგალითზე გავეცნოთ თემთან მუშაობის სქემას:



# სამუშაო ობიექტის შერჩევა, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საშუალებები

## ა. წინასწარი მონაცემების მოძიება და განხილვა

## ბ. ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ

## გ. დიაგრამული მოდელების შედგენა

### სად დავიწყოთ?

ჩვეულებრივ, როცა ორგანიზაცია იწყებს სათემო მობილიზების საკითხებზე მუშაობას, მას უნდა ჰქონდეს მიზნობრივი ჯგუფის შერჩევის საკუთარი, ზუსტად ჩამოყალიბებული კრიტერიუმები.

მაგ.,

- მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობა;
- ბიომეურნეები;
- კონფლიქტის ზონის მოსახლეობა;
- ეთნიკური უმცირესობა;
- სოციალურად დაუცველი ფენა;
- მოხუცები;
- ლტოლვილები;
- ახალგაზრდობა

და სხვ.

ბევრი ორგანიზაციას, რომლებიც მუშაობენ ან აპირებენ იმუშაონ სათემო მობილიზების მიმართულებით, აქვთ სავარაუდო სოფლების ჩამონათვალი. უმეტესად ეს ის სოფლებია, რომლებთანაც უკვე გარკვეული კონტაქტი არსებობს. ბევრი ორგანიზაცია შერჩეულ სოფელს პირდაპირ სთავაზობს დახმარების პაკეტს. ეს ქმედება სოფელს თავიდანვე „მიმღების" პოზიციაში აყენებს: „თუ თქვენ დიდი სურვილი გაქვთ, რაიმე გააკეთოთ ჩვენს სოფელში, ძალიან კარგი, დაგელოდებით და ვნახავთ, რა გამოვა". თანამშრომლობის პროცესის უკეთესი დასაწყისია, როცა დახმარების სფეროსა და ფორმის განსაზღვრაში აქტიურად მონაწილეობს სოფელი. ამის მისაღწევად ორგანიზაციებს შეუძლიათ სოფლად მუშაობის პროცესში წარადგინონ თავიანთი მიდგომა, ახსნან სამუშაო პრინციპები. შემდეგ ორგანიზაცია ელოდება სოფლის/თემის პოზიციის დაფიქსირებას და მხოლოდ სოფლის სურვილის გამოთქმის შემდეგ აგრძელებს მასთან მუშაობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგჯერ სოფლის სახელით მოგმართავთ რამდენიმე პირი, რომლებსაც ამოძრავებთ საკუთარი და არა სოფლის ინტერესები.

## ფასილიტატორთა გუნდი

თემთან მუშაობისათვის შექმნილი ფასილიტატორთა გუნდი პატარაა (1-4-კაციანი). მკაცრად არაა განსაზღვრული ჯგუფის სიდიდე და შემადგენლობა:

- ეს დამოკიდებულია ადგილობრივ სიტუაციაზე, არსებულ სამეურნეო საკითხებზე და ხელმისაწვდომ რესურსებზე;
- დროთა განმავლობაში ფასილიტატორების რაოდენობა იცვლება; პირველ ვიზიტს შტატის ერთი ან ორი წევრი აკეთებს, მერე - გუნდი 3-4 კაცის შემადგენლობით, სამონიტორინგო ვიზიტები მხოლოდ ერთ ან ორ კაცს საჭიროებს;
- სასურველია, ჯგუფს ჰყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც ჯგუფის წევრებს შორის ფუნქცია-მოვალეობებს გაანაწილებს.

# ა. წინასწარი მონაცემების მოძიება და განხილვა

<u>განმარტება:</u> წინასწარი ინფორმაცია - ობიექტზე (სოფელი, ქალაქი, ტბა) გასვლამდე, სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია ამ ობიექტის შესახებ.

თითქმის ყველა შემთხვევაში არსებული ინფორმაციის გარკვეული რაოდენობა მოცემულ რეგიონზე ხელმისაწვდომია. ამ ინფორმაციის შესწავლა ძალიან უწყობს ხელს თემთან მუშაობის ეფექტურობას. ძალიან ბევრი წყარო არსებობს წინასწარი მონაცემების თაობაზე, მაგრამ სიფრთხილე გმართებს, ვინიდან:

- სტატისტიკური მონაცემების დიდი რაოდენობა და დეტალური რუკები ყურადღებას ამახვილებს რაოდენობრივ და არა თვისობრივ ანალიზზე;
- მონაცემების სიზუსტე ხშირად საეჭვო და მოძველებულია. დასკვნებს, რომლებიც ამ მონაცემებს ეფუძნება, დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ და ადგილზე გადაამოწმოთ.

## ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს:

| | |
|---|---|
| - ოფიციალური სამთავრობო გამოცემები;<br>- მოსახლეობის აღწერის მონაცემები;<br>- ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები; | - მონოგრაფიები, გაზეთები, ჟურნალები (ბიბლიოთეკაში არსებული მასალები);<br>- სპეციალისტების კონსულტაციები;<br>- პირადი გამოკითხვები;<br>- საბაზრო ინფორმაცია;<br>- და სხვ. |

ფასილიტატორის (ან ფასილიტატორთა ჯგუფის) მიერ ობიექტზე გასვლამდე მოგროვებული წინასწარი ინფორმაცია, შეჯამებისა და ანალიზის შემდეგ, ვიზუალური სახით ფიქსირდება - დიაგრამების, მარტივი ცხრილების, რეზიუმეების, ფოტოებისა და რუკების ასლებისა და სხვა ფორმით.

- წინასწარი ინფორმაციის განხილვას ფასილიტატორი (ან ფასილიტატორთა ჯგუფის) კრიტიკულად უნდა მიუდგეს, რათა ადგილზე გასვლისას გადასამოწმებელი საკითხები გამოიკვეთოს.
- წინასწარი ინფორმაციის მოგროვება-განხილვაზე დიდი დრო არ უნდა დაიხარჯოს - დროის დიდი ნაწილი ობიექტზე (სოფელი, ქალაქი, ტბა) მუშაობას უნდა დაეთმოს.

# ბ. ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ

<u>განმარტება</u>: თავისუფალი დიალოგის, საუბრის სახით ჩატარებული მიზანმიმართული ინტერვიუ, რომლის მომზადებისას მხოლოდ ძირითადი თემა და ზოგიერთი შეკითხვა არის წინასწარ დაგეგმილი, ხოლო სხვა შეკითხვები თავად საუბრის მსვლელობისას წამოიჭრება. ეს გამოკითხვა შეიძლება იყოს „შემთხვევითი“, ე.ი. ხორციელდება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, სადაც შეიძლება შეხვდე ჯგუფს ან კერძო პირს და საუბრის შესაძლებლობა გეძლევა, მაგ., სოფელში გასეირნების დროს.

<u>ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს მიზანი:</u> სოფლის მოსახლეობისაგან ინფორმაციის მიღება, აგრეთვე, სამუშაო ჯგუფსა და კონკრეტული ობიექტის (სოფელი, ქალაქი, ტბა) მოსახლეობას შორის ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ მოსაუბრეებს შორის ურთიერთნდობის ატმოსფეროს ქმნის და თავისუფალი, გახსნილი საუბრისათვის ხელსაყრელია. ამ მეთოდის დახმარებით მოსახლეობისაგან ძირითადი ინფორმაციის ამოღება ხდება, ამასთან იგი საფუძველს ამზადებს სხვა მეთოდების გამოყენებისათვის.

ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს პროფესიონალური ჩატარება არც ისე ადვილია, როგორც პირველი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ - საჭიროა როგორც თეორიული საფუძვლების ცოდნა, ისე პრაქტიკის გავლაც.

გთავაზობთ რამდენიმე მეთოდურ მითითებას, რაც გამოგადგებათ თემთან მუშაობის პროცესში:

## 1 კითხვარის წინასწარ მომზადება

ფასილიტატორთა ჯგუფმა წინასწარ უნდა მოამზადოს ინტერვიუ - გაინაწილოს ფუნქციები და შეიმუშაოს ინტერვიუს მთავარი თემა და სავარაუდო კითხვარი.

კითხვების მოსამზადებლად შეიძლება გამოვიყენოთ სავარჯიშო - "ობობას ქსელი".

## 2 ინტერვიუს ჩატარების დრო და ადგილი

ინტერვიუს ეფექტურად ჩატარებისათვის აუცილებელია:

- ინტერვიუს ჩატარების ოპტიმალური დროისა და ადგილის განსაზღვრა. ინტერვიუსათვის შეარჩიეთ ისეთი დრო, როდესაც ადამიანი შედარებით თავისუფალია და არც ძალიან დაღლილია. შეეცადეთ, ადამიანს არ შეაწყვეტინოთ დაწყებული სამუშაო - ასეთ შემთხვევაში იგი შეეცდება, რაც შეიძლება სწრაფად დაამთავროს თქვენთან საუბარი და ინტერვიუც ზედაპირული გამოვა.
- ინტერვიუს ჩატარება სასურველია რესპოდენტის სახლში ან სამუშაო ადგილზე - აქ იგი თავის ჩვეულ გარემოშია, მასპინძლის როლში უფრო თავისუფლად გრძნობს თავს და უფრო გულახდილია.
- საუბრისას მოსაუბრეები თავისუფალ, თანაბარ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდნენ - მაგ., არასასურველია ასეთი სურათი: ფასილიტატორი ზის სკამზე, გლეხი კი ბალახზე.
- სასურველია ინტერვიუს ალების ფოტოზე დაფიქსირება, რათა შემდგომ სამუშაო ჯგუფის წევრებს ანალიზის შესაძლებლობა ჰქონდეთ - რა იყო სწორი? რა საჭიროებს გაუმჯობესებას?

## 3 ჯვარედინი შემოწმება (სამკუთხედის მეთოდი) – ტრი-ანგულაცია

ყოველი საკითხის გამოკვლევა სხვადასხვა მეთოდითა და კუთხით შეიძლება. ასეთი, ე.წ. ინფორმაციის ჯვარედინი გადამოწმება ხელს უშლის ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებას. ამ მიზნით გამართლებულია შემდეგი კითხვის ხშირი გამოყენება - "კი მაგრამ, რატომ?"

ინფორმაციის გადამოწმების ერთ-ერთი ფორმა "სამკუთხედის" მეთოდია - პრობლემას რომელიმე ერთი კუთხით მანამ ვიკვლევთ, სანამ სიტუაციის კონტურები გამოიკვეთებოდეს, შემდეგ ვჩერდებით და ვიკვლევთ სხვა მხრიდან და ა.შ. ამ გზით ვიღებთ მნიშვნელოვანი მომენტების "სამკუთხედს".

## 4 შეკითხვების ტიპები

ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს დაწყება უკეთესია ისეთი კითხვებით, რომლებიც მაქსიმალურად გამოავლენს ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნასა და გამოცდილებას. შეიძლება დაისვას კითხვა: რას აკეთებთ ამჟამად? ამით შეიძლება მივიღოთ მათი საქმიანობის (მეურნეობის ან სხვა საქმიანობის) სრული აღწერა. რითი იყავით დაკავებული წარსულში? - გავეცნობით ისტორიულ გარემოს. რას აპირებთ მომავალში? - გამოვლინდება პრობლემები, რომლებიც მათ აწუხებთ.

გაურკვეველი კითხვები - კითხვა უნდა დაისვას გარკვევით, ისე, რომ მოპასუხეს არ სჭირდებოდეს კითხვის შინაარსის დაზუსტება. მაგ., კითხვა: "რა სჭირს თქვენს კარტოფილს?" - გაურკვეველია, კითხვა - "რა მეთოდით ებრძვით კოლორადოს ხოჭოს?" - გარკვეულია.

<u>დახურული კითხვები</u> - მოითხოვს სპეციფიკურ ინფორმაციას და მოკლე პასუხს. ხშირად ასეთი კითხვების პასუხია: "დიახ" ან "არა". მაგ., "სოფელში არის ისტორიული ძეგლები?". ასეთ კითხვებს მაქსიმალურად უნდა ავარიდოთ თავი. თუმცა შესაძლებელია ინტერვიუს დაწყებისას რამდენიმე ასეთი კითხვაც დაისვას, რათა მოსაუბრემ დაძლიოს მორიდებულობა და გაშინაურდეს.

<u>ღია კითხვები</u> - მოითხოვს ვრცელ პასუხს - ჩამონათვალს, ისტორიას, მსჯელობას, ანალიზს, მოსაზრებებს. მაგ., "რომელი ისტორიული ძეგლებია თქვენს მხარეში? რითია ისინი მნიშვნელოვანი?" ღია კითხვები უნდა შეიცავდეს კითხვით სიტყვებს: რა? როდის? სად? ვინ? რატომ? როგორ? - ეს ხელს შეუწყობს ამომწურავი ინფორმაციის მიღებას.

<u>ინტერვიუს დროს გამოიყენეთ ფრაზები:</u> "მაგრამ, რატომ?", „შეგიძლიათ, უფრო დაწვრილებით მომითხროთ ამის შესახებ?“, "კიდევ რა შეგიძლიათ მითხრათ ამის შესახებ?". კარგ შედეგს იძლევა უშუალოდ პიროვნების გარშემო დასმული კითხვებიც: "რატომ აირჩიეთ ასეთი განსაკუთრებული პროფესია? დარგი? კულტურა?". ზოგჯერ გამართლებულია შემხვედრი კითხვის დასმა: "თქვენ როგორ ფიქრობთ?", "თქვენ რა აზრის ხართ ამის შესახებ?"

## <u>გ ვ ა ხ ს ო ვ დ ე ს !</u>

**ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ ძალდაუტანებელი და გულითადი საუბარია და იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავამსგავსოთ დაკითხვას.**

## ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს დროს:

- ✔ ყურადღება მთლიანად მოსაუბრისკენაა მიმართული;
- ✔ საუბრისათვის ვარჩევთ ხელსაყრელ დროს;
- ✔ ვაგრძნობინებთ მოსაუბრეს, რომ მისი აზრი გვაინტერესებს, და არ ვაძალებთ ჩვენს მოსაზრებებს;
- ✔ ვაძლევთ მას მთლიანი თვითგაცხადების საშუალებას და ვაცდით აზრის ბოლომდე თქმას;
- ✔ თვალების კონტაქტის შენარჩუნება, ღიმილი და მოძრაობები მოსაუბრეს აგრძნობინებს პატივისცემას და ამ დროს კომუნიკაცია თანაბარ დონეზე მიმდინარეობს;
- ✔ საუბრისას მოსაუბრის ნათქვამის გზადაგზა შეჯამება და მისი სწორად გაგების შემოწმება;
- ✔ ნათქვამის შეჯამებისა და შემოწმებისას მისი გარკვეული მიმართულებით წარმართვა;
- ✔ უნდა ელაპარაკო მოსაუბრეს მისი დონის შესატყვისი ენით;
- ✔ არ უნდა იქცეოდე ისე, თითქოს სულ შენა ხარ მართალი;
- ✔ არ უნდა იჩქარო რჩევების მიცემა, არამედ უნდა აიძულო მოსაუბრე, თვითონ ეძიოს გამოსავალი, მაგ., როგორ გავაკეთო ეს? - თქვენ როგორ ფიქრობთ?;
- ✔ საჭიროა "რ" კითხვების დასმა: როდის? როგორ? ესენი ღია კითხვებია, რომლებიც მოსაუბრეს აიძულებენ, მოგაწოდოს დამატებითი ინფორმაცია.

## აუცილებელია:

- წარვუდგინოთ საკუთარი თავი;
- ვაგრძნობინოთ, რომ პატივს ვცემთ;
- დავამყაროთ ურთიერთგაგება;
- დავსხდეთ ან ვიდგეთ ერთ დონეზე;
- მოვუსმინოთ;
- ამოცანა მკაფიოდ გვქონდეს დასახული;
- ვიყოთ მეგობრულად განწყობილი;
- მადლობა გადავუხადოთ მონაწილეებს.

## გამოვიყენოთ:

- ღია კითხვები (როგორიც საუბრის სტიმულატორები);
- მარტივი და გასაგები კითხვები;

კითხვები, რომლებიც უშუალო კავშირში არიან საკითხთან

## მოვერიდოთ:

- დახურულ კითხვებს (რომელთა პასუხი შეიძლება იყოს ჰო, არა);
- პირველივე პასუხით დაკმაყოფილებას;
- ამბიციურ შეკითხვებს;
- შეკითხვებს მატერიალური ფასეულობების შესახებ.

## დაუშვებელია:

- ვიყოთ ოფიციალურები;
- დაგვიანება;
- დავპირდეთ იმას, რასაც ვერ შევასრულებთ;
- გავიცინოთ პასუხებზე;
- გავაკრიტიკოთ ან უარვყოთ პასუხები;
- აჩქარება;
- შევაწყვეტინოთ მოსაუბრეს ან წავუკითხოთ ლექცია;
- მოსაუბრის აზრის იგნორირება;
- არასწორად გავაცნოთ ჩვენი მიზანი;
- თავს მოვახვიოთ ჩვენი აზრები.

# კარგი, ღია ინტერვიუსათვის გამოსადეგი 11 პრინციპი

## 1. მოუსმინეთ, ნაცვლად იმისა, რომ ილაპარაკოთ!

როცა ინტერვიუს ამღები (ინტერვიუერი) 10%-ზე მეტს თვითონ ლაპარაკობს, მაშინ ეს ცუდი ინტერვიუა. ამაზე უარესია, როცა მოსაუბრე (რესპოდენტი) შეკითხვას დაუსვამს: "შეიძლება, მეც რამე ვთქვა?" - ამას როლების შეცვლა ჰქვია.

## 2. ნუ გამოკითხავთ მკაცრად შედგენილ-მოფიქრებული კითხვარის მიხედვით!

სტრუქტურირებული ინტერვიუ რომ გამოგივიდეს, ამისათვის მრავალი არასტრუქტურირებული საუბრის ჩატარებაა საჭირო: თქვენ ხომ ინფორმაციის მიღება გსურთ. შედგენილი სქემის მიხედვით გამოკითხვისას თქვენ მხოლოდ იმ ინფორმაციას მიიღებთ, რისი შეტყობაც გსურთ; მაგრამ იქნებ თქვენს მოსაუბრეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი რამ უნდა ეცნობებინა?... არასტრუქტურირებული ინტერვიუს აღებით მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი.

## 3. ნუ გაამჟღავნებთ თქვენს რეაქციებს ამა თუ იმ საკითხის გარშემო, თქვენ მხოლოდ მოსმენა და გაგება გევალებათ!

დასაშვებია მხოლოდ იმის ჩვენება, რომ მოსაუბრისა გესმით, რომ მისი გაგება გსურთ. განსაკუთრებით დიდ შეცდომად ითვლება, როცა მისი ნათქვამისადმი დაეჭვებას ან არმოწონებას გამოხატავთ. ეს ინტერვიუს მომცემს მაშინვე დააკარგვინებს თავდაჯერებულობას და ერთგვარად შებოჭავს. -- დაეჭვებითა და უნდობლობით ყველაზე ენაწყლიან ადამიანსაც კი შეიძლება ენა ჩააკმეტინოთ.

## 4. მიჰყევით საუბრის მსვლელობას, გაატარეთ დადგენილი ხაზი!

როცა მოსაუბრე რამეს აანალიზებს, თქვენ ნუ გააწყვეტინებთ; ნუ იქნებით ერთი თემიდან მეორეზე გადასვლის ინიციატორი. ამან შეიძლება მოსაუბრეს აგრძნობინოს ის, რაც გულში გიდევთ. კერძოდ: ‘„რასაც თქვენ ახლა ამბობთ, მე სულ არ მაინტერესებს". აცადეთ მოსაუბრეს თემის შეცვლა, თუკი ეს მას სურს. თემას მხოლოდ მაშინ (ან მაშინვე) დაუბრუნდით, როცა იგრძნობთ, რომ ის ამოწურული არ არის.

## 5. დაუსვით ღია, მარტივი კითხვები!

ნუ დასვამთ ისეთ შეკითხვებს, რომლებზეც პასუხი მხოლოდ "დიახ" ან "არა" შეიძლება იყოს (ანუ ნაცვლად კითხვისა "გუშინ შინ იყავი?" იკითხეთ "რა გააკეთე შინ?") ასეთი ღია კითხვები იძლევა ინფორმაციის გაშლის საშუალებას, დახურული კითხვები კი ხელს უშლის კითხვაზე სრული პასუხის გაცემას. დასვით ე.წ. "რ" კითხვები (რატომ? რა? რისთვის? რომელი? როგორ? რაზე? და ასე შემდეგ).

## 6. ერიდეთ დამოკიდებულ კითხვებს!

ისე დასვით შეკითხვა, რომ ის იმავდროულად პასუხსაც არ გულისხმობდეს. ასეთი შეკითხვები საკითხისადმი თქვენს დამოკიდებულებას გადმოსცემენ (ნაცვლად იმისა, რომ იკითხოთ: "განა თქვენც ეს არ შენიშნეთ?" იკითხეთ: "რა შენიშნეთ?")

## 7. გაუძელით პაუზებს!

აცადეთ ლაპარაკი, ნუ დააყრით შეკითხვებს! სწორედ დაცდა, პაუზის გაკეთება შეიძლება გახდეს ისეთი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მიღების ხერხი, როროგორის გამხელაც რესპოდენტს ერთბაშად არ სურს. როცა მოსაუბრე ჩერდება და იცდის, ეს იმის ნიშანია, რომ იგი საუბრის გაგრძელებას გთხოვთ! ასევე არავითარ შემთხვევაში არ ეცადოთ პასუხის გამოძალვას. თუ მოსაუბრე თავის დამოკიდებულებას არ გამოთქვამს, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ამისი მიზეზიც აქვს.

## 9. ნუ დაიწყებთ პირდაპირ მისი გრძნობების გამოკითხვით!

შეკითხვაზე: "ეს არ გსიამოვნებთ, არა?" უთუოდ მიიღებთ პასუხს: "არა, რას ბრძანებთ!" მაშინაც კი, როცა მოსაუბრეს ეს მართლაც არ სიამოვნებს. მაგრამ თუკი მოსაუბრე თავის გრძნობებს გაგიმხელთ, მაშინვე მიაყოლეთ შეკითხვა: "რატომ..." („რა არ გსიამოვნებთ ამაში?").

## 10. არ შეგეტყოთ, რომ შეკითხვების დასმა მოგბეზრდათ!

არ დაუშვათ, რომ მოსაუბრემ როლი ჩამოგართვათ. ხოლო თუ ის მაინც ისე მოგექცევათ, როგორც რესპოდენტს, მაშინ შეკითხვებზე შეძლებისდაგვარად მოკლედ უპასუხეთ. ვინც შეკითხვებს იძლევა, თამაშიც იმას მიჰყავს!

## 11. ნუ იჩქარებთ, დრო იქონიეთ თადარიგში!

ნუ მოეშვებით მოსაუბრეს, აიძულეთ დეტალებზეც მოგითხროთ. შეეკითხეთ: "კიდევ რას იტყოდით?" თუკი ის იტყვის: "ის ასე იქცევა...", მაშინვე ჩაეკითხეთ: "რატომ ხდება ასე?". "რატომ?" - ეს არის ყველაზე პასუხუხვი შეკითხვა, მას სააშკარაოზე გამოაქვს მოსაუბრის მოტივები.

## 5 ინტერვიუს ჩაწერა

მნიშვნელოვანია ინტერვიუს დეტალური ჩაწერა, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- ჩაწერაზე ნებართვა ავიღოთ მოსაუბრისაგან;
- ჩავწეროთ მხოლოდ მთავარი დეტალები;
- დააფიქსირეთ, ვინ საუბრობს: ქალი/მამაკაცი; ახალგაზრდა/ხანში შესული; შეძლებული/ღარიბი და სხვ.
- ძირითადი ჩანაწერები უნდა გადაეცეს ინტერვიუს შემდეგ, როდესაც ფასილიტატორები შეადარებენ თავიანთ ჩანაწერებს;
- უნდა დავაფიქსიროთ შთაბეჭდილებები ინტერვიუს შესახებ.

## 6 თვითკრიტიკული ინტერვიუ

ინტერვიუს დამთავრების შემდეგ ფასილიტატორებმა ინტერვიუს მსვლელობა კრიტიკულად უნდა შეაფასონ - ანალიზი გაუკეთონ ინტერვიუს დადებითსა და უარყოფით მხარეებს, გამოარკვიონ, რომელი კითხვების დასმა შეიძლებოდა უფრო უკეთესად, რა უზუსტობები იყო დაშვებული საუბრისას, იყო თუ არა მოსაუბრეებს შორის ურთიერთგაგების ატმოსფერო და სხვ.

შეფასება ჩვეულებრივ საბარათო გამოკითხვის მეთოდით ხდება, რომლის დროს ყველა წევრის მოსაზრება წერილობით ჩაინიშნება.

საბარათო გამოკითხვა შემდეგნაირად ტარდება:

- მოდერატორი რამდენჯერმე კითხულობს შეკითხვას;

  (სავარაუდო კითხვები: "რა არ მომეწონა ინტერვიუს მსვლელობისას?", "რას უნდა ავარიდო თავი?", "რა მომეწონა?", "როგორ გავაკეთებდი სხვანაირად?", "რა არის აუცილებელი კარგი ინტერვიუს მოსაწყობად?")
- თითოეულ მონაწილეს რამდენიმე ბარათი ეძლევა, ყოველ მათგანზე წერს ერთ აზრს - "ერთი ბარათი - ერთი იდეა".
- მოდერატორი აგროვებს ბარათებს, ეკითხავს ჯგუფს და მათი აზრის გათვალისწინებით დაფაზე გარკვეული თანამიმდევრობით ალაგებს.
- იქმნება "გროვები" - მსგავსი აზრობრივი დატვირთვის ბარათების ჯგუფები, შემდეგ ხდება მათი დაკავშირება ხაზებით და იქმნება ჯგუფის მოსაზრებების ერთგვარი "რუკა".
- დაბოლოს, ჯგუფი მსჯელობს და მიღებულ სურათს აანალიზებს.

ამ მეთოდის გამოყენებით:

- დაცულია ანონიმურობა, რაც დაძაბულობას ხსნის და აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებას იძლევა;
- მთავარი პრობლემა თუ მოსაზრება გამოიკვეთება ყოველგვარი გრძელი და უსარგებლო დისკუსიების გარეშე;
- მეთოდი თვალსაჩინოა, მარტივი გასაგებია და დასამახსოვრებლადაც ადვილია.

### სავარჯიშო - სწორად ვიქცევით?

*ფოტოებს ან სლაიდების ჩვენება, თითოეული მიუთითებს გამოკითხვის განსხვავებულ სიტუაციებზე, მის დადებით და უარყოფით მხარეზე.*

<u>*პროცედურა*</u>

მცირე ჯგუფებში დაარიგეთ ფოტოების გარკვეული რაოდენობა და სთხოვეთ, ყურადღებით შეისწავლონ ეს ფოტოები და აღნიშნონ თითოეული სიტუაციის დადებითი და უარყოფითი მხარე.

მცირე ჯგუფები იკრიბებიან პლენარულ სესიაზე და მონაწილეები წარმოაჩენენ სახელმძღვანელო გზას გამოკითხვების ჩასატარებლად - იქიდან გამომდინარე, თუ რა ცოდნა შეიძინეს ფოტოების შესწავლის შედეგად.

# ბ. დიაგრამული მოდელების შედგენა

> "რას გვესმის – გვავიწყდება,
>
> რასაც ვხედავთ – გვამახსოვრდება,
>
> რასაც ვაკეთებთ – ვიგებთ"

ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს გზითა და სხვა წყაროებით მოპოვებული ინფორმაცია საჭიროებს შეჯამებას და ანალიზს, რათა იგი გასაგებად და თვალსაჩინოდ წარედგინოს თემის წევრებს და გამოყენებულ იქნეს მუშაობის შემდგომ ეტაპზე - თემთან თანამონაწილეობითი საქმიანობის დაგეგმვისას. ამ მიზნით გამოიყენება დიაგრამული მოდელები.

დიაგრამული მოდელების შედგენის მეთოდი - ინფორმაციის სქემატური წარმოსახვა - თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ინფორმაციის ძირითად ასპექტებს, პრობლემების დინამიკას, ურთიერთკავშირებს და სხვ. ეს მეთოდი ადვილად გასაგებია და ეფექტურია ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის გასაცნობად.

გარდა აღნიშნულისა, დიაგრამების გამოყენებისას:

- განხილვის დროს ფასილიტატორის როლი მეორე პლანზე გადადის;
- მონაწილეები დიაგრამების მეშვეობით „საუბრობენ“;
- მონაწილეებს შორის კონფლიქტის წარმოქმნის რისკი კლებულობს (მათი მოსაზრებები თვალსაჩინოდ ჩანს);
- დიაგრამები განსაზღვრავს დისკუსიის მიმართულებებს.

დიაგრამული მოდელების სხვადასხვა ფორმები არსებობს: აგროეკოლოგიური, სოციალური, ისტორიული რუკები, ვენ-დიაგრამები, წრიული დიაგრამები, სვეტის დიაგრამები და სხვ.

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი, რომლებიც ხშირად გამოიყენება და ადვილი შესასრულებელია:

## 1. დროის ხაზი

### დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის მაგალითი:

| | |
|---|---|
| IX ს | პირველი მოხსენიება, სოფელი მიჯა |
| XX ს | დუხობორების ჩასახლება |
| 1930 წ. | კოლექტივიზაცია |
| 1936 წ. | ელექტრიფიკაცია |
| 1941-45 წწ | სამამულო ომი, დაიღუპა 47 კაცი |
| 1947 წ. | ფულის რეფორმა |
| 1949 წ. | მიჯას დაერქვა ჯავახი |
| 50-იანი წწ. | სასმელი და სარწყავი წყლის გაყვანა, ხიდის აშენება, გზის გაყვანა, გაშენდა ხელოვნური კორომები |
| 1975 წ. | კოლმეურნეობა გადაკეთდა საბჭოთა მეურნეობად |
| 1978 წ. | მიწისძვრა |

ეს არის მოსახლეობის, თემის ცხოვრებაში ისტორიული მოვლენების მიახლოებითი თარიღები. ეს ისტორიული მონაკვეთები შეიძლება იყოს წარსულის აღწერა - როგორ იცვლებოდა მოვლენები, განსაკუთრებით - ურთიერთობები და მიმართულებები. დროის ხაზი შეიძლება ასახავდეს ტექნოლოგიურ გადაიარაღებას, რომელიმე კულტურის მოყვანის განვითარებას, განათლების სისტემაში ცვლილებებს, საზოგადოებაში ან პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს და სხვ.

დროის ხაზის მონახაზი კეთდება წინასწარ, ობიექტზე გასვლამდე, მაგრამ ადგილზე ხდება ინფორმაციის გადამოწმება და ხაზის შევსება.

## 2. თანამონაწილეობითი რუკები

ობიექტის მარტივი რუკა შეიძლება წინასწარ მომზადდეს (წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე), მასზე დატანილი იქნება რელიეფი, ძირითადი პუნქტები, გზები, არხები, მდინარეები, ეკლესიები და სხვ. მაგრამ თანამონაწილეობითი რუკების შედგენა უშუალოდ მოსახლეობასთან ერთად ხდება. ობიექტის რუკა შეიძლება გაკეთდეს სამიზნე ობიექტის ყველაზე მაღალი წერტილიდან (მთა, გორაკი). სამუშაო ჯგუფის წევრი დახმარებისათვის მიმართავს ადგილობრივ მოსახლეს - "შეგიძლიათ დამეხმაროთ რუკის შედგენაში? იქნებ თქვენ თვითონ დახატოთ?" თანამონაწილეობითი რუკის შეგენა ხელს უწყობს მოსახლეობის უნდობლობისა და გაუცხოების მოხსნას, ამასთან სამუშაო პროცესსაც ახალისებს.




სიტუაციური რუკა

**არსებობს სხვადასხვა სახის რუკები:**

- **რესურსების რუკა - სოფლები, ტყეები, მინდვრები, ბაღები;**
- **სოციალური რუკა - სამოსახლოები, სიმდიდრის კლასიფიკაცია;**
- **ჯანმრთელობის რუკა - თითოეული მოსახლის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მდგომარეობა;**
- **თემატური რუკა - წყლის, მიწის, მინდვრის მორწყვის;**
- **სიტუაციური რუკა;**
- **და სხვ.**

## 3. განაკვეთი (ტრანსექტული გადაადგილება)

ეს არის ფასილიტატორების სამიზნე ობიექტზე გადაადგილების შედეგად დაკვირვების, დათვალიერებისა და მოსმენის გზით აღმოჩენილი ინფორმაციის (პრობლემა, ფაქტი, გამოცდილება) დაფიქსირება რუკის ან რომელიმე დიაგრამული მოდელის საშუალებით.

ამ მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებელი რეკომენდაციები:

- მარშრუტის დადგენა;
- ადგილობრივი გამყოლის შერჩევა;
- თითოეული აგროსისტემისათვის უნდა აღწეროთ: ნიადაგი, კულტურები, საქონელი, პრობლემები, ხელსაყრელი რესურსები, შეფასება - მდგრადობის შეფასება სხვა აგროსისტემებთან შედარებით.
- ინფორმაციის დატანა განაკვეთზე სასურველია პირობითი ნიშნებით და უნდა აღინიშნოს მოახლოებითი მასშტაბი.
- შესაძლოა ყველა აგროსისტემის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია გადაიტანოთ წინასწარ მომზადებულ რუკაზე, თუმცა სასურველია, თითოეული აგროსისტემისათვის გაკეთდეს ცალკე განაკვეთი.



ტრანსექტი

## 4. სეზონური კალენდარი

სეზონთან დაკავშირებული საკითხები (პრობლემები) სეზონური დიაგრამის საშუალებით გამოისახება. დიაგრამაზე თვალსაჩინოდ აისახება წლის თითოეული თვის დატვირთვა.

სეზონური კალენდარი შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა ინფორმაციას: კლიმატის ცვლილებას, სოფლის მეურნეობის კულტურების მონაცვლეობას, პროდუქტების მოხმარებას, სამუშაოს განაწილებას, მიგრაციას, შემოსავლებს, დანახარჯებს, სეზონურ ფასებს და სხვ.

განვიხილოთ სეზონური კალენდრის მაგალითები:

მაგალითი: სოფელი გომბორი (საგარეჯოს რაიონი), შრომის განაწილება 5-კაციან ოჯახში




დიაგრამა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რომელ თვეშია უფრო მეტი სამუშაო და როდის სჭირდება ოჯახს დამატებითი მუშახელი. ამასთან კარგად ჩანს მთის სოფლის ცხოვრებაც - სამუშაოს განაწილება თვეების მიხედვით.

სეზონური კალენდარი, სამუშაოს სახეების განაწილება და შეფასება თვეების მიხედვით (საგარეჯოს რაიონი, გომბორის საკრებულო, სოფ. რუსიანი)

| | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კარტოფილი | | | | + | + | + | | + | | + | + | |
| ბოსტნეული, მარცვლეული | | | | + | + | + | + | | | + | | |
| სათიბი, შეშა | | | | | | | + | + | | | | |
| ტყის ნობათი | | | | + | + | | + | + | + | | | |
| ღორის მოვლა | | | | + | + | + | + | + | + | + | | |
| მსხვილფეხა საქონელი | | | | | + | + | | + | + | | | |
| ხეხილი | | | | + | | | | + | + | + | | |
| ფუტკარი | | | | | | + | | + | | | | |
| თვეების დატვირთვა, ქულები | | | | 5 | 5 | 5 | 4 | 7 | 4 | 4 | 1 | |

დიაგრამიდან ჩანს, რომ მაქსიმალურად დატვირთული თვეა აგვისტო, შედარებით დატვირთული - აპრილი, მაისი, ივნისი; შემდეგ - ივლისი, სექტემბერი, ნაკლებად - ნოემბერი, ხოლო დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი თავისუფალი თვეებია.

## 5. სვეტის დიაგრამა

სვეტის დიაგრამით შესაძლებელია ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების კეთილდღეობის შედარებითი ანალიზი. მაგალითი: გლეხების მდგომარეობის ანალიზი

3 გლეხის გამოკითხვა ჩატარდა შემდეგი საკითხების გარშემო:
- ოჯახის წევრების რაოდენობა;
- ფართობები, კულტურები, საქონელი;
- გასაყიდი პროდუქციის ოდენობა;
- შემოსავლის ოდენობა;
- და სხვ.



სათემო მობილიზება - ზოგადი მითითებები

## 6. წრიული დიაგრამა

ამ ტიპის დიაგრამების გამოყენებით შესაძლებელია მოსახლეობის საარსებო საშუალებების გამოვლენა და ანალიზი - თვალსაჩინოდ გამოჩნდება არა მხოლოდ დანახარჯებისა და შემოსავლის წყაროები, არამედ გაკეთდება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი. წრიული დიაგრამებით შესაძლებელია, აგრეთვე, ორგანიზაციის, რეგიონის, სოფლის გარემო ფაქტორებზე დამოკიდებულების შეფასება.

მაგალითი: სოფელი ახალუბანი (გორის რაიონი)




## 7. გარე ფაქტორების მნიშვნელობა (ვენ-დიაგრამა)

ამ დიაგრამების საშუალებით შეიძლება ორგანიზაციების, დაწესებულებების ან ადამიანთა ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულების, ურთიერთგავლენის სხვადასხვა დონეების დანახვა და ანალიზი. ამ მეთოდის გამოყენებისას დგინდება ჯგუფების, ან ცალკეული ადამიანების განსხვავებული შეხედულებები კონკრეტული ორგანიზაციისა თუ ადამიანის ფუნქციის, პასუხისმგებლობისა და კავშირების შესახებ, საბოლოო ჯამში ეს დიაგრამები კონფლიქტურ მხარეებს ან პროცესებს გამოავლენს და ამასთან მათი გადაწყვეტის გზებსაც მიანიშნებს.

მაგალითი: სოფლის დაწესებულებების ანალიზი, სოფ. ქვედა ბახვი (ოზურგეთის რაიონი)

ეს დიაგრამა ჩვეულებრივ კეთდება მოსახლეობის მონაწილეობით ან მათ მიერ: ცენტრში თავსდება ის ორგანიზაცია ან ადამიანთა ჯგუფი, ვისზე გავლენაც ფასდება, ირგვლივ - დანარჩენი ორგანიზაციები. წრის ზომა გამოხატავს ორგანიზაციის მნიშვნელობას - წონას, მისი სიახლოვე ცენტრალურ წრესთან და ხაზების სისქე - გავლენას, სიახლოვეს, კონტაქტების სიხშირეს



## 8. დინების დიაგრამა

დინების დიაგრამით შესაძლებელია წინასწარ შერჩეული თემის (საკითხის) გაანალიზება, მასში შემავალ კომპონენტებს შორის არსებული ურთიერთობების (გავლენების) დადგენით. დიაგრამის აგებისას შეირჩევა საკვლევი თემა, პროცესი, საქმიანობა, რომელთა კვლევაც გვინდა. შემდეგ იგი უკავშირდება იმ ლოგიკურ თემებს, პროცესებს, საქმიანობას, რომლებთანაც აქვს უშუალო კავშირი.




## 9. დროის გადახრები

ეს მეთოდი მოძიებული ინფორმაციის/მონაცემების დინამიკის (დროის შედარებით დიდ მონაკვეთში - სულ ცოტა 10 წლის მანძილზე) გრაფიკული სურათს იძლევა. ასეთი მეთოდით შეიძლება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის წარმოსახვა - მოსავლის და საქონლის რაოდენობის, ფასების, დემოგრაფიული მონაცემების და სხვ. ცვლილებებისა.

მაგალითი: კარტოფილის ფასის ცვლილება. სოფ. ვერონა (საგარეჯოს რაიონი)




## 10. მიზეზშედეგობრივი დიაგრამა

დიაგრამის ეს ფორმა ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მოვლენისა თუ პრობლემის დაწვრილებითი ანალიზისათვის. ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კონკრეტული პრობლემის ანალიზისათვის, ისე ახალი საქმიანობის ან სხვადასხვა პროექტის პოტენციური გავლენის შესწავლისათვის. იგი გამოიყენება აგრეთვე პროგრამის შეფასებისათვის.

მიზეზშედეგობრივი ანალიზი (პეპელას მოდელი)

როდესაც თემს სჭირდება განვითარების საერთო სტრატეგიის შემუშავება, საჭიროა საფუძვლიანი ანალიზი და მთავარი პრობლემის განსაზღვრა. თუ ვიცით კონკრეტული პრობლემა და მისი შედეგები, შესაძლებელია მისი საფუძვლიანი აღწერა, ანუ მიზეზების დადგენა. თუ ვიცით მიზეზი, უფრო ადვილად ვიპოვით პრობლემის მოგვარების გზას. პრობლემის დადგენისათვის გამოვიყენოთ კითხვები:

რაში მდგომარეობს პრობლემა?
რამ გამოიწვია პრობლემა?

მთავარი პრობლემის დადგენის შემდეგ გამოვიყენოთ მიზეზშედეგობრივი მოდელი.

გვახსოვდეს! პრობლემის გადაჭრა ორიენტირებულია მისი გამომწვევი მიზეზების მოხსნაზე. (პრობლემას შეიძლება ჰქონდეს ერთი ან მეტი მიზეზი და მიზეზის მიზეზი)




პრობლემების მიზნებად გადაქცევა

პრობლემათა ანალიზის შემდეგ ხდება მიზნების დასახვა. ეს მიზნები შეიძლება იყოს თემის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრის საშუალება. ამისათვის საჭიროა პრობლემათა ანალიზის მოდელის თითოეული პუნქტი (შედეგებიც და გამომწვევი მიზეზებიც) უარყოფითი მდგომარეობიდან გადავიყვანოთ დადებითში.



## 11. რენკინგი (დახარისხება – რანჟირება)

სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით რომელიმე პრობლემის, საკითხის შეფასებისათვის (ქულებით) გამოიყენება რენკინგი. არსებობს რენკინგის სხვადასხვა ფორმა. მაგალითების მოშველიებით განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

I. პრეფერენციული (უპირატესობის მინიჭება) რენკინგით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შეფასება.

მაგალითი: სოფ. რუსიანი (საგარეჯოს რაიონი)

| | მიტო | ივანე | მიხო | მარო | ნაზი |
|---|---|---|---|---|---|
| გვალვა | 5 | 5 | 3 | 4 | 5 |
| სასუქები | 4 | 3 | 0 | 0 | 4 |
| სარეველები | 3 | 4 | 0 | 0 | 3 |
| ნიადაგი | 2 | 1 | 0 | 0 | 2 |
| სხვ. | 1 | 2 | 1 | 3 | 2 |

გლეხთა ჯგუფს დასახელებული ფაქტორების ქულებით (1-დან 5-მდე) შეფასებას ვთავაზობთ. წინასწარ ვუხსნით ქულების მნიშვნელობას, მაგ., ამ შემთხვევაში 5 ქულა უარყოფით გავლენას ნიშნავს

ცხრილიდან ჩანს, რომ მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი გვალვაა, შესაბამისად, გადასაწყვეტია მორწყვის პრობლემა.

II. მატრიქს-რენკინგის გამოყენებით შესაძლებელია კონკრეტული პროექტების (მაგ., გზის შეკეთება, ამბულატორიის ამოქმედება) შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმებით (საჭიროებების, მდგრადობის, შედეგების მიხედვით და სხვ.). შეფასება ხდება 5-ბალიანი სისტემით.

მაგალითი: სოფ. წყალაფორეთი (ხარაგაულის რაიონი)

| პროექტები | | გზის შეკეთება | ამბულატორიის ამოქმედება |
|---|---|---|---|
| **კრიტერიუმები (ბალები)** | | 1 2 3 4 5 | 1 2 3 4 5 |
| სოფლის საჭიროებებთან შესაბამისობა | | 4 | 4 |
| სოფლის პოტენციალთან შესაბამისობა | | 5 | 4 |
| რეალური ფინანსირების შესაძლებლობა | | 5 | 2 |
| მიმზიდველობა | მგრადობაზე ორიენტირებული | 5 | 3 |
| | ათვლადი შედეგები | 5 | 3 |
| **მიღებული დასკვნები** | | **24** | **16** |

ცხრილიდან ჩანს, გზის შეკეთების პროექტის გაკეთება უფრო რეალურია

III. პრობლემემ-რენკინგი - პრეფერენციული რენკინგის მსგავსია, მაგრამ გამოიყენება პრობლემის მნიშვნელობის შეფასებისათვის.

მაგალითი: სოფ. რუსიანი

| **პრობლემა** | **ქულების ჯამი** |
|---|---|
| სამედიცინო მომსახურება | 77 |
| ტრანსპორტი | 82 |
| გასაღების ბაზარი | 114 |
| ს/ს ტექნიკა | 50 |
| დამზადების პუნქტები | 103 |

გლეხებს ვთხოვთ, ჩამოთვალონ მათი სოფლის პრობლემები და მიანიჭონ ქულები 1-იდან 5-მდე; უფრო მნიშვნელოვანს - 1 ქულა, ნაკლებ მნიშვნელოვანს - 5 ქულა და ა.შ.

ცხრილიდან ჩანს, რომ გლეხებისათვის ს/ს ტექნიკის საკითხის მოგვარება ყველაზე მნიშვნელოვანია. რაც შეეხება გასაღების ბაზარს, მან ბოლო ადგილი დაიკავა - როგორც ჩანს, გლეხებს ან არაფერი აქვთ გასაყიდი ან ბაზრის პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია.

## თემის კრება

სიტუაციის - მოპოვებული ინფორმაციისა და წინასწარი ანალიზის შედეგებს მოსახლეობა თემის კრებაზე ეცნობა.

### კრების მიზანი:

მოპოვებული ინფორმაციისა და წინასწარი ანალიზის შედეგების გაცნობისა და თანამონაწილეობითი შეფასების გზით:
- არსებული პრობლემების გამოკვეთა;
- თემის საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასება;
- პრობლემების დახარისხება და პრიორიტეტების გამოყოფა;
- პრობლემების მოგვარების სავარაუდო გზების დასახვა;
- თემის კომიტეტის არჩევა.

### კრების "სცენარის" მომზადება:

კრების "სცენარის" მომზადება: ფასილიტატორთა ჯგუფი წინასწარ ემზადება კრების ჩასატარებლად: არჩევს და აკეთებს ვიზუალურ მასალას (რუკები, სეზონური კალენდარი, დიაგრამები). წინასწარ იწერება კრების "სცენარი" - ნაწილდება როლები - ვინ? როდის? რა? როგორ? უნდა გააკეთოს. სასურველია, რომ კრების მომზადების, ჩატარების დროსა და შემდეგაც რამდენიმე დღე სამუშაო ჯგუფი ცხოვრობდეს სოფელში, ცალკე ნაქირავებ სახლში.

### კრების ჩატარების დრო:

სოფლის მოსახლეობას წინასწარ უნდა ეცნობოს (საინფორმაციო ფურცლებით) კრების ჩატარების ზუსტი დრო, რომლის განსაზღვრა ხდება მოსახლეობის დასაქმების, ადგილობრივი ტრადიციების, რელიგიურობის და სხვ. გათვალისწინებით.

### კრების ჩატარების ადგილის შერჩევა:

კრების ჩატარების ადგილის შერჩევა: კრება შეიძლება ჩატარდეს სკოლაში, კლუბში ან სხვა საზოგადოებრივ შენობაში, შეიძლება ღია ცის ქვეშაც. გასათვალისწინებელია კრების მონაწილეების განლაგებაც - ყველა, ადგილობრივი ხალხიც და გარეშეც (სამუშაო ჯგუფი) ერთნაირ პოზიციაში უნდა იმყოფებოდნენ: თუ, მაგალითად, კრება ღია ცის ქვეშ ტარდება და სოფლელები ხის მორებზე ჩამოსხდნენ, ასევე უნდა მოიქცეს სამუშაო ჯგუფი - დაუშვებელია მათთვის სკამების მოტანა.

### მაგალითი:

(კრების მიმდინარეობა განვიხილოთ **ხარაგაულის რაიონის სოფელ წყალაფორეთში ჩატარებული რეალური კრების მაგალითზე:**
სოფელ წყალაფორეთში კრება ჩატარდა სკოლის შენობაში, დაესწრო მოსახლეობის 65%.

### კრების გახსნა

კრება გაიხსნა ფასილიტატორთა ჯგუფის მისალმებით და დამსწრეთა ურთიერთწარდგენით. ურთიერთწარდგენისას ყველა მონაწილე მოკლედ საუბრობს საკუთარ თავზე - ეს ხელს უწყობს სოფლელებსა და სამუშაო ჯგუფს შორის გაუცხოების მოხსნას - იმახსოვრებენ ერთმანეთის სახელებს. აღმოაჩენენ საერთო ინტერესებს და სხვ.

## კრების მოდერატორი

კრებას მიჰყავს ფასილიტატორთა ჯგუფიდან წინასწარ შერჩეულ პირს - მოდერატორს. იგი მნიშვნელოვანი ფიგურაა კრების და, საერთოდ, ნებისმიერი ჯგუფური მუშაობის პროცესში.
მოდერატორი ჯგუფური მუშაობის პროცესში ასრულებს კატალიზატორის როლს, უშუალოდ არ ერევა სწავლებისა და დასკვნების გამოტანის პროცესში - იგი მხოლოდ ეხმარება მუშაობის სწორად წარმართვასა და საკითხის, პრობლემის გაგებას.

<u>მოდერატორის ფუნქციები:</u>

- ჯგუფის შემოქმედებითი უნარის მობილიზება;
- შესაბამისი სამუშაო მეთოდებისა და ვიზუალური მასალის არჩევა;
- შეკითხვების დასმა მოკლედ და გასაგებად;
- თავისუფალი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნა;
- მოდერატორი უშუალოდ არ მონაწილეობს კამათში, მაგრამ თუ დისკუსია გასცდა ძირითად თემას და უსარგებლო ან კონფლიქტური ხასიათს იღებს, იგი ჩაერევა პროცესში - წყვეტს კამათს, აღადგენს სამუშაო სიტუაციას და ცდილობს, ხელი შეუწყოს კონსენსუსის მიღწევას. მოდერატორი თვითკრიტიკული უნდა იყოს. მისი შეცდომები თუ წარმატებები უნდა განიხილებოდეს ჯგუფთან ერთად.

## "გამჭვირვალობა"

ფასილიტატორთა ჯგუფმა წარადგინა საკუთარი ორგანიზაცია, სოფლად მუშაობის მიზნები და სამუშაო პროგრამა. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხშირად სოფელი უნდობლად ეკიდება უცხო, გარედან მოსულ ადამიანებს, სოფელში უამრავი ჭორი დადის და აუცილებელია ფასილიტატორთა ჯგუფის მიზნების ნათლად ახსნა.

## ფასილიტატორთა ჯგუფის თვალით დანახული სოფელი:

ფასილიტატორთა ჯგუფმა კრების მონაწილეებს მათს სოფელში მუშაობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარუდგინა. ვიზუალური მასალის (რუკები, ტრანსეკი, სეზონური კალენდარი, დემოგრაფიული მონაცემები, დიაგრამები), წარდგენილი ინფორმაციის დაზუსტება და ცვლილებების შეტანა ერთობლივად მოხდა - კრების მონაწილეებმა გამოთქვეს თავისი შენიშვნები.

## სოფლის შესაძლებლობების ანალიზი:

ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ფასილიტატორთა ჯგუფმა შესთავაზა კრების მონაწილეებს, გაეანალიზებინათ მოსმენილი და ნანახი და განესაზღვრათ სოფლის შესაძლებლობები, ანუ ის პოტენციალი, რომლის გამოყენებითაც სოფელს შეუძლია გარკვეულ წინსვლას მიაღწიოს. მოდერატორის მიერ დასმულ კითხვას - "რა შესაძლებლობები აქვს სოფელს?", კრების მონაწილეებმა საბარათო გამოკითხვის მეთოდით უპასუხეს (თითო მონაწილეს - 3 ბარათი). შემდეგ ბარათები დაჯგუფდა და გამოიკვეთა შემდეგი პოტენციალები: მეცხოველეობა, მერძეობა, თევზსაშენი, მეფუტკრეობა, მევენახეობა, სამკურნალო მცენარეები, წყლები, ხე-ტყე.

## დაბრკოლებები, რომელთაც შეიძლება ხელი შეუშალონ ამ შესაძლებლობების რეალიზებას:

ამ ეტაპზე, იმავე საბარათო გამოკითხვის მეთოდით, სოფელმა დაასახელა პრობლემები: ეკონომიკური გაჭირვება, უმუშევრობა, მოსახლეობის ინერტულობა, მთავრობის უყურადღებობა, ხალხის არაერთსულოვნება, ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდება, ცუდი გზა, გეოგრაფიული მდებარეობა.

## პრობლემათა დახარისხება (რენკინგი):

დასახელებული პრობლემებიდან სოფლის მოსახლეობას უნდა გამოეყო უმთავრესი და დაელაგებინა მნიშვნელოვნების მიხედვით; შედეგად გამოიყო 3 ძირითადი პრობლემა - ცუდი გზა, უფულობა, არაერთსულოვნება.

## პრობლემები მოგვარების შესაძლებლობების ანალიზი:

ფასილიტატორთა ჯგუფმა შესთავაზა ჯიების მონაწილეებს, მათ მიერ ჩამოთვლილი შესაძლებლობების გათვალისწინებით, თითოეული პრობლემისათვის გაეკეთებინათ მცირე პროექტის მონახაზი - რა არის გასაკეთებელი? რა რესურსებია საჭირო? რისი მოგვარება შეუძლია სოფელს? რაში სჭირდება დახმარება?

## რეალურად შესრულებადი პროექტის გამოკვეთა:

ჯიების მონაწილეები დაიყვნენ 3-კაციან ჯგუფებად და გააკეთეს მცირე პროექტის მონახაზი თითოეული პრობლემის მოგვარებისათვის. აღნიშნული პროექტების წარდგენის შემდეგ გაიმართა მსჯელობა და ჯიების მონაწილეები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაძლებელია გზის პრობლემის მოგვარება.

## სოფლის კომიტეტის არჩევა:

ფასილიტატორთა ჯგუფის შეთავაზებით ჯიების მონაწილეებმა გადაწყვიტეს სოფლის კომიტეტის არჩევა. მოდერატორმა ჩამოწერა ის კრიტერიუმები, რომელთაც, ჯიების მონაწილეების აზრით, უნდა აკმაყოფილებდეს კომიტეტის წევრი. შემდეგ საბარათო გამოკითხვით (ანონიმურად) დასახელდა კომიტეტის წევრობის კანდიდატები - შეირჩა 5 სოფლელი, რომლებსაც ჯიების მონაწილეებმა ნდობა გამოუცხადეს, და მათ დაევალათ, ერთი მხრივ, სოფლის მოსახლეობასთან მუშაობა და, მეორე მხრივ, სოფლის სახელით ფასილიტატორთა ჯგუფთან მუშაობის გაგრძელება.

## ფასილიტატორთა ჯგუფის საქმიანობის შეფასება:

ჯიების ბოლოს სოფლის მოსახლეობამ შეაფასა ფასილიტატორთა ჯგუფის მიერ ჩატარებული მუშაობა (საბარათო გამოკითხვა: "რა მოგეწონათ?" და "რა არ მოგეწონათ?"). ჯიების შემდეგ ფასილიტატორთა ჯგუფი აანალიზებს საკუთარ სამუშაოს და ჯიების მონაწილეების შეფასება ძალიან ეხმარება შეცდომებისა და წარმატებების გამოვლენასა და დაძლევაში.

# კომიტეტთან მუშაობა (თემის საინიციატივო ჯგუფი)

კრების შემდეგ ფასილიტატორთა ჯგუფი მუშაობას აგრძელებს არჩეულ კომიტეტთან.

## კომიტეტის უფლება-მოვალეობები

1. კომიტეტის წევრი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, მიუხედავად სქესის, ეროვნების თუ ასაკისა, მათ შეუძლიათ იმუშაონ ნებაყოფლობით საწყისებზე, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე;
2. კომიტეტი უწევს მომსახურებას გარკვეულ სამიზნე ჯგუფს, ჩვენს შემთხვევაში სოფელს;
3. კომიტეტმა უნდა შეადგინოს თემის განვითარების სამოქმედო გეგმა, გამოავლინოს თემის პრობლემები და იმუშაოს პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებაზე (პროექტების დაწერა, დონორების მოძიება და სხვ.);
4. კომიტეტმა უნდა შეძლოს თემის მობილიზება, ასევე მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია სიახლეების შესახებ (მიმდინარე სამუშაოების შესახებ) და შეძლოს მოსახლეობის ჩართვა საქმიანობებში;
5. უნდა შეადგინოს სამუშაო გრაფიკი როლისა და ფუნქციების განაწილებით;
6. შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშვალდებულია მოსახლეობის და დონორი ორგანიზაციების მიმართ;
7. განხორციელების შემთხვევაში მუდმივად თვალყურს ადევნებს პროექტს (მონიტორინგი);
8. ცვლილებების მიღების შემთხვევაში უკავშირდება ხელშემწყობ ორგანიზაციას ან წინასწარ უთანხმდება მას;
9. პროექტის დასრულების შემთხვევაში იწვევს თემის კრებას და წარადგენს ხარჯთაღრიცხვას შესრულებულ სამუშაოებზე;
10. პროექტის ირგვლივ სადავო საკითხების წამოჭრის შემთხვევაში უკავშირდება ხელშემწყობ ორგანიზაციას.

კრებიდან 2-3 დღის შემდეგ ფასილიტატორთა ჯგუფი ხვდება კომიტეტს და მასთან ერთად განიხილავს თემის განვითარებისა და სოფლის კრებაზე გამოკვეთილი პრობლემის მოგვარების საკითხს. კომიტეტი უნდა გაერკვეს, ისწავლოს და პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვას, რაც თემის ჩამოყალიბება-განვითარებასა და მომავალი პროექტის წარმატებას ეხება. ვინაიდან თემის წინამძღოლის როლის შესრულებას შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევების გამომუშავება სჭირდება, ფასილიტატორთა ჯგუფი, კომიტეტთან ერთად, ტრენინგებს მართავს სხვადასხვა საკითხებზე. ქვემოთ განვიხილავთ ამ საკითხებს.

## რა არის თემი?

კომიტეტთან მუშაობას ვიწყებთ სწორედ თემის განმარტებით

> თემი საერთო ინტერესებისა და პრობლემების მქონე ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რათა საერთო ძალისხმევით მიაღწიონ დასახულ მიზანს.

როგორც წესი, თემს ჰყავს ლიდერები, მაგრამ თემის ყველა ინდივიდი განიხილება, როგორც გარკვეული ღირსებისა და ნიჭის პიროვნება, რომელთა ცოდნასა და გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თემის წარმატებული საქმიანობისათვის.

ადამიანთა გაერთიანებას თემი რომ ვუწოდოთ, ლიდერებს უნდა შეეძლოთ:
- მთავარი პრობლემის გამოვლენა და თემის რესურსების განსაზღვრა
- მიზნების ფორმულირება და სტრატეგიების განსაზღვრა
- საჭირო ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი
- საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება
- საქმიანობის შედეგების შეფასება
- და სხვ.

თემის ლიდერებმა თავისი ფუნქცია რომ შეასრულონ და ხელი შეუწყონ თემის ჩამოყალიბება-განვითარებას, ისინი უნდა ფლობდნენ გარკვეულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, ანუ მათ უნდა ისწავლონ. სანამ იმ საკითხებს განვიხილავთ, რაც ლიდერებმა (ჩვენს შემთხვევაში კომიტეტის წევრებმა) უნდა ისწავლონ, გავარკვიოთ, რას ვგულისხმობთ განვითარებაში?

## განვითარება თუ დახმარება? (იაპონური სიბრძნე)



*იაპონური სიბრძნე ამბობს: მშიერ ადამიანს შეიძლება მიუტანო თევზი და დააპურო, მაგრამ ხვალ იგი ისევ მშიერი დარჩება. უკეთესი იქნება, თუ მას თევზის დაჭერას ასწავლი, მაშინ ის თვითონ შეძლებს სარჩოს მოპოვებას.*

განვითარების მიზანია ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მათი ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერების, გარკვეული უნარ-ჩვევების შეძენის, გამოცდილების გაზიარებისა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენის აღდგენის გზით.







### განსხვავება ჰუმანიტარულ და განვითარებისათვის გაწეულ დახმარებას შორის

| დახმარება | | განვითარება |
|---|---|---|
| გაჭირვება/კრიზისი | **პრობლემა** | სიღარიბე/ცხოვრების დაბალი დონე |
| გადარჩენა | **მიზანი** | გაუმჯობესება |
| გაცემა | **პროცესი** | გაცნობიერება და მობილიზება |
| გარედან | **წილი** | 1. ადგილობრივი, 2. გარედან |
| სწრაფი | **ვადები** | გრძელვადიანი |
| მომცემი | **ურთიერთკავშირი** | ფასილიტატორი |
| ჰუმანიტარული (ერთჯერადი) დახმარება პასიურობის წინაპირობაა და იწვევს დამოუკიდებლობისა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენის დაკარგვას | **შედეგი** | განვითარებისათვის გაწეული დახმარება თემის გამოფხიზლება-გააქტიურებას იწვევს, საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად მართოს სიტუაცია და დარწმუნდეს, რომ შეუძლია, ოცნებები რეალობად აქციოს. |

დახმარებას, თუ იგი განვითარებისთვისაა განკუთვნილი, მივყავართ მდგრადობამდე, ანუ მდგრად განვითარებამდე.

**მდგრადი განვითარება არის სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რომელიც არ არღვევს ბუნებრივ საფუძვლებს და უზრუნველყოფს უწყვეტ პროგრესს.**




**<u>მიზნების ფორმულირება</u>**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის თაობაზეც კომიტეტის წევრებს ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს, არის მიზნების ფორმულირება. თუ მიზანი ზუსტად არ არის ფორმულირებული და გააზრებული, შეუძლებელია კონკრეტული ქმედებების დაგეგმვა და შესრულება.

**<u>რა არის მიზანი?</u>**

**წინასწარ განსაზღვრული სასურველი მდგომარეობა (მოსალოდნელი შედეგების აღწერა), რომლისთვისაც ვიღვწით და რომლის მიღწევაც ცვლის არსებულ მდგომარეობას (გავლენას ახდენს მასზე).**

მიზანი უნდა იყოს

| | | |
|---|---|---|
| 1. კონკრეტული | რას მინდა მივაღწიო?<br>ზუსტად - რას?<br>როგორ? სად? ვისთან ერთად? | რაც უფრო ნათლად ჩამოვაყალიბებთ მიზანს,<br>მით უკეთ გავიგებთ მას. |
| 2. გაზომვადი | რა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს, მივაღწიეთ თუ არა მიზანს?<br>(ინსტრუმენტები) | უნდა შევქმნათ ნათელი კრიტერიუმები, რათა<br>გავიგოთ, მივაღწიეთ თუ არა მიზანს. |
| 3. მიმზიდველი | როგორ გესახებათ მომავალი?<br>რა უპირატესობა აქვს ამ მიზანს?<br>გაამართლებს თუ არა ჩვენს მოლოდინს?<br>რა მნიშვნელობა აქვს ამ მიზანს,<br>რატომაა მნიშვნელოვანი? | მიზნის პოზიტიური ფორმულირება<br>არის პოზიტიური ფიქრის წინაპირობა. |
| 4. რეალისტური | რა რესურსები მოგვეპოვება?<br>რა რესურსები გვაკლია?<br>შეგვიძლია თუ არა მათი შოვნა?<br>არის თუ არა ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მიზნის მიღწევა? | წარუმატებლობის სირთულეები. |
| 5. დროში განაწილებული | რისთვის გვინდა, რომ მივაღწიოთ მიზანს?<br>როდისთვის გვინდა მივაღწიო მიზანს? | დრო ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მიზნის შინაარსი . . . . |

## პროექტის წარმატება

სოფლის კრებაზე გამოკვეთილი პრობლემა და მისი მოგვარების გზების მონახაზი კონკრეტულ პროექტად რომ ჩამოაყალიბეს, კომიტეტმა უნდა მოახერხოს პროექტის წარმატების პროგნოზირება, მან უნდა უპასუხოს კითხვას:

# რა განაპირობებს პროექტის წარმატებას?




სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინება განაპირობებს პროექტის წარმატებასა და მდგრადობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ფაქტორი მოიაზრებს ადამიანურ რესურსებსაც, რაც საბოლოო ჯამში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა პროექტის განხორციელებისათვის.

## პროცესის მონაწილე/დაინტერესებულ პირთა ანალიზი (ადამიანური რესურსების შეფასება)

პროცესის მონაწილე პირთა ანალიზი - საკვანძო მოქმედი პირების განსაზღვრის, მათი ინტერესების დადგენისა და დაგეგმილ პროცესში მათი მონაწილეობის ფორმის დადგენის საშუალებაა. იგი ხელს უწყობს მიზნების უფრო ადვილად განხორციელებასა და შედეგის მდგრადობას.

**რატომ კეთდება მონაწილე/დაინტერესებულ პირთა ანალიზი?**

1. გადასაჭრელ პრობლემასთან დაკავშირებით მონაწილე პირთა ინტერესების გამოსავლენად;
2. ინტერესების კონფლიქტის დასადგენად;
3. მონაწილე პირთა შორის ურთიერთობების დასადგენად;
4. პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მონაწილე პირთა მონაწილეობის ფორმის განსაზღვრისათვის.

**მონაწილე/დაინტერესებულ პირთა ანალიზის გაკეთებისას:**

- ჩამოთვალეთ მონაწილე/დაინტერესებული პირები;
- დააჯგუფეთ ისინი;
- დაადგინეთ მათი ინტერესები (მოლოდინი, სარგებელი, შეთავაზებული რესურსები);
- განსაზღვრეთ კონფლიქტური ინტერესები;
- გამოავლინეთ დამოკიდებულება მონაწილე/დაინტერესებულ პირებს შორის;
- განსაზღვრეთ პროექტის გავლენა მათს ინტერესებზე.

**რა სავარაუდო ჯგუფები შეიძლება გამოიყოს?**

- მიზნობრივი ჯგუფი (უშუალო მომხმარებელი);
- პოტენციური მხარდამჭერები და ოპონენტები;
- სახელმწიფო უწყებები;
- ფასილიტატორები;
- და სხვ.

## ძირითადი კითხვები თითოეული ჯგუფის ანალიზისათვის:

1. ჯგუფის მახასიათებლების აღწერა
- სოციალური მახასიათებლები (რელიგია, კულტურა, სქესი, ასაკი, სოციალური სტატუსი და სხვ.);
- ჯგუფის სოციალური სტატუსი (ფორმალური თუ არაფორმალური);
- როგორია ამ ჯგუფის პრესტიჟი?

2. პრობლემის შესახებ ჯგუფის შეხედულების გამოკვეთა;
- რას ფიქრობს ჯგუფი პრობლემისა და პროექტის შესახებ?
- რა სტრატეგიასა და რისკებს გამოყოფს ეს ჯგუფი?

3. პოტენციალის გამოკვეთა
- რა პოტენციალს ფლობს ჯგუფი?
- როგორ შეიძლება ამ პოტენციალის გამოყენება?

4. ურთიერთობების კვლევა
- როგორია სხვა ჯგუფებთან დამოკიდებულება?
- რა ტიპის კონფლიქტი არსებობს?

მონაწილე/დაინტერესებულ პირთა ანალიზის შემდეგ უკვე გამოიკვეთება პროექტის ხელშემწყობი და დამაბრკოლებელი ფაქტორები, თემის შესაძლებლობები და კომიტეტისა და ფასილიტატორთა ჯგუფის ფუნქციები და როლი. ამ ეტაპზე უკვე შეიძლება შეფასდეს კონკრეტული პროექტები.

***მაგრამ,***
*თუ საპროექტო წინადადებები, რომლებიც შემუშავდა სოფლის კრებაზე, არ არის საკმარისი ანალიზისათვის, კომიტეტი თავიდან იწვევს სოფლის კრებას. ამჯერად კომიტეტი დამოუკიდებლად ატარებს კრებას, მოსახლეობასთან ერთად აანალიზებს პროექტების ძლიერ და სუსტ მხარეებს, აფიქსირებს ყველა მოსაზრებას და დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე აფასებს პროექტებს.*

### პროექტის შეფასება

პროექტი შეფასდება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით (კონკრეტული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე). მაგალითისათვის წარმოგიდგენთ შეფასების ნიმუშს:

| კრიტერიუმები | ფაქტორების მნიშვნელობა | I პროექტი | II პროექტი | III პროექტი |
|---|---|---|---|---|
| მნიშვნელობა (მდგრადობა) | | | | |
| 2. ეკონომიკური ეფექტი | | | | |
| 3. მიზნობრივი ჯგუფის პრიორიტეტები | | | | |
| 4. გარემოზე გავლენა | | | | |
| 5. შენახვის ხარჯები | | | | |
| 6. გენდერული ასპექტები | | | | |
| 7. ა.შ. | | | | |
| მთლიანად | | | | |
| შეფასების ქულები | | | | |

**კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა ეხმარება კომიტეტს პროექტის შეფასებასა და არჩევანში:**

- ვინ იღებს უშუალო სარგებელს? (რამდენი კაცი, რამდენია ღარიბი);
- ვინ არის ირიბი მომხმარებელი?
- რა სარგებელი იქნება მოკლე დროში?
- როგორია გრძელვადიანი სარგებელი?

კონფლიქტების ალბათობა
- რამდენად შესაძლებელია საკონფლიქტო სიტუაციების შექმნა:
    - ადგილობრივ მოსახლეობასა და მმართველობას შორის?
    - პროექტის მონაწილეებსა და სხვა მოსახლეობას შორის?
- რა გავლენა ექნება გარემოზე? (დადებითი, უარყოფითი)
- რამდენად რთულია პროექტის ორგანიზება თემისათვის

აღნიშნული ნიმუში მხოლოდ მაგალითისათვის გამოდგება, ვინაიდან თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში კრიტერიუმები შეიძლება სხვადასხვა იყოს. პროექტების შეფასების შედეგებს კომიტეტი წარუდგენს თემს და მათთან შეთანხმებით იწყებს კონკრეტული პროექტის (შეფასების შედეგად გამოვლენილი) დაგეგმვას

### პროექტის კონკრეტული დაგეგმვისას პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს::

- რატომ ხორციელდება პროექტი?
- რა მიზანს ისახავს პროექტი?
- რა საშუალებებით აპირებთ პროექტის მიზნის მიღწევას?
- რომელი გარე ფაქტორებია გადამწყვეტი პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის?
- როგორ შეიძლება შემოწმდეს პროექტის მიღწევები?
- სად შეიძლება მოვიპოვოთ პროექტის მიღწევების შესამოწმებლად საჭირო მონაცემები?
- რა დანახარჯებს/რესურსებს მოითხოვს პროექტი?



**პროექტის მომზადება და ფინანსური უზრუნველყოფა**

ფასილიტატორთა ჯგუფი ამ ეტაპზეც ეხმარება კომიტეტის წევრებს: მათთან ერთად განიხილავს საპროექტო განაცხადის მოთხოვნებსა და ხარჯთაღრიცხვას, აწვდის ინფორმაციას საჭირო ტექნოლოგიების, მასალების, სხვადასხვა ფონდების (პოტენციური დონორების ან პარტნიორების) შესახებ და სხვ. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტს აკავშირებს კონკრეტული დარგის სპეციალისტთან და უზრუნველყოფს კომპეტენტური კონსულტაციების ხელმისაწვდომობას.

ფასილიტატორთა ჯგუფი პროექტის განხორციელების ეტაპზეც ხელს უწყობს კომიტეტს, მასთან ერთად ატარებს პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგსა და შეფასებას, რომლის დროსაც ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს:
- რამდენად სწორად იყო შერჩეული პრობლემა?
- რამდენმა ადამიანმა მიიღო სარგებელი?
- რა იყო წარმატებული და რა შეცდომები იქნა დაშვებული?
- როგორ შეუწყო ხელს ამ პროექტმა მდგრად განვითარებას?
- როგორ აფასებენ სამუშაო ჯგუფისა და კომიტეტის მუშაობას?
- და სხვ.

## მონიტორინგი და შეფასება

დღის განმავლობაში ყოველი ჩვენგანი გაუცნობიერებლად ახდენს თავისი ქმედებების მონიტორინგსა და შეფასებას. რაიმე საქმის შესრულების დროს და შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ ამ საქმის შედეგებსა და შესრულების გზის გაუმჯობესებაზე. სწორედ ასეთი ფიქრის შედეგია ის, რომ ხშირად იცვლება თავდაპირველი გეგმა.

მონიტორინგი გულისხმობს იმ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, რომელიც უკავშირდება მოკლევადიან ქმედებებსა და მიზნებს.

მონიტორინგი არის ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის გარკვეული წესი, რომლის მეშვეობით ხდება არსებული გეგმის შედეგთან (ან მოკლევადიან მიზანთან) შედარება.
ის გვეხმარება დავინახოთ, თუ რამდენად სწორად და გეგმის შესაბამისად სრულდება ქმედება.



მაგალითი: ორ ფერმერს მოჰყავს ხორბალი

ფერმერი 1. რეგულარულად ამოწმებს ნათესის ზრდას და როგორც კი ამჩნევს დაავადების ნიშნებს, იწყებს წამლობას. მისი ყანა კარგად ვითარდება და ფერმერმა კარგი მოსავალიც მიიღო.

ფერმერი 2. არ აქცევდა ყურადღებას ნათესებს. მოსავლის აღების დროს კი სასოწარკვეთილმა აღმოაჩინა, რომ მოსავლის დიდი ნაწილი დაკარგულია.



მონიტორინგი ნიშნავს დაკვირვებას, რეაგირებასა და, თუ საჭიროა, ცვლილებების შეტანას ქმედებებში, რაც გააკეთა ერთმა ფერმერმა და არ გააკეთებია მეორეს.

შეფასება დაკავშირებულია საშუალო და გრძელვადიან მიზნებთან. ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც პერიოდული შეფასება იმის დასადგენად, თუ რა დონემდე უნდა მივიდეს პროგრამის ან ქმედებების შესრულების შემდეგ საშუალო და გრძელვადიანი მიზნები, ანუ შეფასების გზით დგინდება პროგრამის ან საქმიანობის ეფექტურობა.

## **რისთვის კეთდება მონიტორინგი და შეფასება**

მონიტორინგი და შეფასება გვეხმარება ჩვენი ქმედებების შეფასებაში (ვუპასუხებთ კითხვებს: "მივაღწიეთ თუ არა მიზნებს?"; "სად დავუშვით შეცდომა, რატომ?" და ა.შ.)
მონიტორინგი და შეფასება გვეხმარება სხვებისათვის შედეგებისა და გამოცდილების გაზიარებაში; ასევე, რეალური მიღწევებიდან და შეცდომებიდან გამომდინარე, არსებული შესაძლებლობების განვითარებაში, უკეთ დაგეგმვასა და საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებაში.

## **ძირითადი პრინციპები:**

- მონიტორინგი და შეფასება უნდა იყოს ქმედების ან პროგრამის ციკლის განუყოფელი ნაწილი: იმისათვის, რომ მონიტორინგმა და შეფასებამ სარგებლობა მოიტანოს, მათ ბოლოში არ უნდა მივმართოთ (როცა ყველაფერი შესრულებულია და ცვლილებებს ვერ შევიტანთ). უმჯობესია მათი ჩართვა პროგრამულ ღონისძიებებში. მონიტორინ-გი და შეფასება გვეხმარება, მუდმივად ვადევნოთ თვალყური, ვამოწმოთ, თუ რას ვაკეთებთ, ეს კი თავის მხრივ დაგვეხმარება პროგრესის დანახვაში (წინსვლაში);
- უნდა ვეცადოთ ინფორმაციული მოთხოვნების მინიმუმამდე დაყვანა. არ არის საჭირო უსარგებლო ინფორმაციის მოგროვება, რომლის სასარგებლოდ გამოყენების დრო და შესაძლებლობა არავის ექნება;
- კარგია, თუ შევარჩევთ მაჩვენებლებს, რომლებიც მარტივად და სწრაფად მოგვაწვდიან საჭირო ინფორმაციას.
- ის, ვინც აგროვებს ინფორმაციას, მის ანალიზშიც უნდა იყოს ჩართული.

## **მონიტორინგისა და შეფასების პროცესი შედგება სამი საფეხურისაგან:**

1. მომზადება: გამოვყოთ დრო იმისათვის, რომ გავერკვიოთ, თუ რატომ გვინდა მონიტორინგი და შეფასება, რას ველით, ვინ ჩაატარებს, როდის და როგორ იქნება შესრულებული;
2. ინფორმაციის მოგროვება: ინფორმაციის მოგროვების პროცესი, რომელიც დაგვეხმარება მონიტორინგისა და შეფასებისას;
3. დიაგნოზი და დასკვნა: მოგროვილი ინფორმაციის გაანალიზება, დასკვნების გაკეთება და მოქმედების მომავალ კურსზე მსჯელობა.

### **შეფასების ჩატარების ციკლი**




### **განსხვავება მონიტორინგსა და შეფასებას შორის:**

| მ ო ნ ი ტ ო რ ი ნ გ ი | შ ე ფ ა ს ე ბ ა |
|---|---|
| მუდმივი დაკვირვება ქმედებებზე | ქმედებები განიხილება გარკვეული პერიოდის შემდეგ |
| უპასუხებს კითხვას - რა კეთდება? | უპასუხებს კითხვას - როგორ? რატომ? |
| ფაქტების დაფიქსირება | გლობალური ანალიზი |
| არ იძლევა განზოგადე-ბის საშუალებას | იძლევა განზოგადების საშუალებას |
| უფრო სასარგებლოა შემსრულებლისათვის | უფრო სასარგებლოა თემისათვის, ორგანიზაციისათვის |

## მიზნების იერარქია

მონიტორინგისა და შეფასების ჩატარებამდე კარგი იქნება, თუ წინასწარ განვსაზღვრავთ ქმედებებისა და მიზნების უპირატესობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შევქმნით მათს იერარქიას (წამყვან მიზნებსა და ქმედებებს).




ზოგჯერ ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელია მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მიზანი. ის, რაც ერთი მოქმედი მხარისათვის წარმოადგენს მოკლევადიან მიზანს (მაგ., ჯგუფისათვის), შეიძლება სხვისთვის იყოს მხოლოდ ქმედება (მაგ., ფონდისათვის).

მონიტორინგი გვეხმარება იმის დანახვაში, თუ რამდენად სწორად და გეგმის შესაბამისად იქნა ათვისებული (გამოყენებული) საწარმოო საშუალებები (მაგ., თიხა, წყალი, საწვავი, შრომა და ა.შ.); საწარმოო საშუალებები ქმედებების შედეგად გარდაიქცა პროდუქციად (მაგ., თიხა, წყალი, შრომა გარდაიქცა აგურად). ეს პროდუქცია კი გამოიყენება უახლოესი მიზნების (მაგ., საავადმყოფოს მშენებლობის) განსახორციელებლად.

შეფასება დაკავშირებულია საშუალო და გრძელვადიან მიზნებთან - ჩვენს შემთხვევაში საავადმყოფო აშენდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად (საშუალოვადიანი მიზანი); ეს კი თავის მხრივ გაზრდის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს (გრძელვადიანი მიზანი).

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საშუალოვადიან მიზნებზე, შეფასება თავისდაუნებურად გვეხმარება აღნიშნული ღონისძიებების "ეფექტების" გაანალიზებაში, და როდესაც ვეხებით გრძელვადიან მიზანს, ვცდილობთ, ხაზი გავუსვათ ამ ღონისძიებების გავლენას. ჩვენს შემთხვევაში ავადმყოფების შემცირება და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობისა და სხვა ეკონომიკური ღონისძიებების გაუმჯობესებაზე.

### ჩვენი მაგალითის შემთხვევაში მიზნების იერარქია შეიძლება ასე გამოვსახოთ:

| | |
|---|---|
| **ქმედება 1.** წყლის და თიხის მომარაგება; | |
| **ქმედება 2.** აგურის გამოწვა; | |
| **ქმედება 3; 4 და ა.შ.** | |
| **მოკლევადიანი მიზანი** | საავადმყოფოს აშენება |
| **საშუალოვადიანი მიზანი** | ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება |
| **მოკლევადიანი მიზანი** | უკეთესი საცხოვრებელი პირობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის |

## მაჩვენებლები (კრიტერიუმები)

როდესაც ვსაუბრობთ მონიტორინგსა და შეფასებაზე, თავს იჩენს მაჩვენებლები. მაჩვენებლები, მარტივად რომ ვთქვათ, არის ნიშნები ცვლილების გასაზომად; მაგ., გაციების მაჩვენებელი იქნება სურდო და სიცხე.

ვინაიდან მონიტორინგისა და შეფასების სისტემაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მაჩვენებლებს, მოდით, განვიხილოთ კარგი მაჩვენებლის მახასიათებლები:

1. ადვილად დაკვირვებადი, ზუსტი და არგუმენტირებული: არ არის აუცილებელი მაჩვენებლის შერჩევა, თუ ინფორმაცია ძნელად მისაღებია, ან თუ ეს გამოიწვევს უთანხმოებას იმ ადამიანებს შორის, ვინც აგროვებს და ანალიზს უკეთებს მას. მაგ., სკოლის მასწავლებლებისათვის მარტივი და შესაძლებელია წარმოადგინონ სწავლის გაუმჯობესების მაჩვენებლები, მაშინ როდესაც ცოდნის დონის მაჩვენებლების ჩვენება საკმაოდ რთულია - იმის დადგენამ, თუ რა ითვლება ცოდნის დონის მაჩვენებლად, შესაძლოა გამოიწვიოს უთანხმოება.

2. შესატყვისი: მაჩვენებელი უნდა იყოს ქმედებების ან მიზნების შესატყვისი.

3. სანდო და ახლესი: როდესაც ჩვენ გვიხდება ინფორმაციის შეგროვება ხანგრძლივი დროის შუალედში, მაჩვენებელი შეძლებისდაგვარად ახლესი და სანდო უნდა იყოს. თუ რაიმე მიზეზით არ არის შესაძლებელი ინფორმაციის მოგროვება, ან ის უკვე მოძველებულია, აშკარაა, რომ ასეთი ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასებისათვის არ გამოდგება.

4. მგრძნობიარე: მაჩვენებელი უნდა იყოს მგრძნობიარე, რათა ცვლილებები ასახოს. მაგ., თუ ჩვენ გამოვიყენებთ სკოლაში მოსიარულე ბავშვების რიცხვს, როგორც სოფლის შეძლებულობის მაჩვენებელს, და ამ დროს კი მხოლოდ რამდენიმე ოჯახი იხდის შემოსავალს ბავშვის სწავლებისათვის, ხოლო დანარჩენები ამ შემოსავალს სხვა მიზნებისათვის ხარჯავენ (მაგ., ჭამასმისათვის, დამატებითი მიწების შესაძენად და სხვა) და არ უნდათ ფულის გადახდა სკოლაში, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს მაჩვენებელი არასწორადაა შერჩეული.

მაჩვენებლების შერჩევა ყველა ამ პირობის გათვალისწინებით შეიძლება ძალზე რთული და ზოგჯერ კი შეუძლებელიც იყოს. ყოველ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ, არსებულ ვითარებაში ავირჩიოთ შესაძლო საუკეთესო მაჩვენებლები.

არ არის საჭირო ყველა მაჩვენებლის რაოდენობრივად გამოსახვა: მუშაობის პროცესში ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც რიცხობრივად არ იზომება. უნდა ვეცადოთ, სიტუაციის შესაფასებლად მოვძებნოთ შესაფერისი მაჩვენებლები. უფრო მეტიც, სხვადასხვა მხარეებმა კარგად უნდა მოიფიქრონ და გამოიყენონ განსხვავებული მაჩვენებლები ერთი და იმავე ღონისძიების ან მიზნის გასაანალიზებლად.

# შეჯამება

თანამონაწილეობითი სწავლა და ქმედება არ არის მკაცრად განსაზღვრული მეთოდების და მიდგომების ნაკრები. ადგილობრივი პირობების შესატყვისად, იგი მუდმივად იცვლება, უცვლელი მხოლოდ ძირითადი მიდგომებია:

- ქცევა და დამოკიდებულება - პროცესის ფასილიტაცია და არა მისი მართვა; ადამიანების მიმართ ყურადღებისა და კეთილგანწყობის გამოვლენა.
- ცოდნის, გამოცდილების, იდეების გაზიარება - ინფორმაციის მიღების პროცესი ორმხრივია: როგორც გარედან მისული, ისე ადგილობრივი მოსახლეობა ფლობს გარკვეულ ინფორმაციას, რომლის ურთიერთგაზიარება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ ინფორმაციის თანამონაწილეობითი ანალიზისათვის.
- მეთოდები, რომლებიც ემსახურება ადამიანთა შორის ბუნებრივი ურთიერთობების დამყარებას, ცოდნის, გამოცდილების, იდეების ურთიერთგაზიარებას და თანამონაწილეობითს ანალიზს.

ამ მიდგომების პრაქტიკაში რეალიზება განსაზღვრავს ამ მეთოდოლოგიის პოზიტიურ ნიშნებს:

- ეს არის ფილოსოფია და მიდგომა საქმისადმი;
- გამოყენებული მეთოდების მრავალფეროვნება და მოქნილობა სასარგებლო შედეგებს იძლევა;
- ადგილობრივი მოსახლეობიდან ინფორმაციის "ამოღება" კი არ ხდება, არამედ ეს ინფორმაცია ისევ ადგილზე "რჩება";
- შეუძლია განსაზღვროს, რა შესაძლებლობები აქვს ხალხს და რა რესურსების მობილიზება შეუძლია, რათა თავიდან აიცილოს გარედან დახმარება ან ჩუქება.

მაგრამ, ამ მეთოდოლოგიის გამოყენება გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, ვინაიდან არაპროფესიონალების მიერ აჩქარებული ტემპებით და არასწორი ხედვით ჩატარებული პროცესი სასურველ პოზიტიურ შედეგს ვერ მოგვცემს. ამიტომ აუცილებელია არა ცალკეული მეთოდების ცოდნა, არამედ იმ ხედვისა და მიდგომების სწავლა და გააზრება, რაც საფუძვლად უდევს თანამონაწილეობითი სწავლისა და ქმედების მეთოდოლოგიას.

# გამოყენებული ლიტერატურა


გამოყენებული ლიტერატურა

1. ფერდინანდ ვინსეტი IREDED-ის (საერთაშორისო ურთიერთობათა ქსელი) გენერალური მდივანი - პრაქტიკული მენეჯმენტის სახელმძღვანელო. სოფლის განვითარების (ხელშემწყობი) ასოციაციები (მესამე სამყარო);
2. ფელეკე თადელე - თემის განვითარების საკითხები (ტრენინგების სერია). ოქსფამი: დიდი ბრიტანეთის პროგრამა საქართველოში. ოქსფამი: ნოე ჰაუ ფონდის თემის განვითარების პროექტი (ზუგდიდი, 2000);
3. ერნსტ ბოლიგერი, ტონინო ზელვეგერი - "ჯიბის" სახელმძღვანელო მრჩეველთათვის. ლანდაუს სოფლის მეურნეობის სამრჩევლო ცენტრი;
4. Керолин Джоунс - Pra в Центральной Азии Шагая в ногу с переменами. Институт исследований развития - Sussex;
5. Michael Schonhuth, Uwe Kievelitz - Partizipative Enhebungs- und Planungsmethoden in der Entwicklungszusammenarbeit: Rapid Rural Appraisal, Participatory Appreisal. Eine kommentierte Einfuhrung. Schiftenreihe der GTZ, Nr 231, 1993;
6. Jules N Pretty, Irene Guut, Jam Scoones, John Thompson - A Trainer,s Guide for Participatory Learning and Action. Published the International Institute for Environment and Development, London, 1995;
7. Participatory Monitoring and Evaluation - Planotes Participatory Learning and action N 31, February, 1998;
8. Seminars uber Participatory Rural Appraisal Methoden fur Mitarbeiter der Assoziation fur Biologischen Landbau - Seminarbericht. Moderatorenteam: Petra Feil, Berthold Schrimp